პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

KOMUNISTI

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტის და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

ხუთშაბათი, 17 იანვარი, 1952 წ. № 14 (9174). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის შემდგომი აღმავლობისათვის — მოწინავე (1-ლი გვერდი).

ჩვენს რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).

ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტში (1-ლი გვერდი).

ა. ი. ვიშინსკის სიტყვა პოლიტიკურ კომიტეტში 1952 წლის 12 იანვარს (მე-2, მე-3 და მე-4 გვერდი).

ი. ა. მალიკის საუბარი ფრანგ სოფლის მეურნეთა დელეგაციასთან (მე-4 გვერდი).

კორეის ამბები (მე-4 გვერდი).

მოლაპარაკება კორეაში დაზავების შესახებ (მე-4 გვერდი).

ბომბეის საერთაშორისო ფეხბურთელთა გაგზავნაზე (მე-4 გვერდი).

ინგლისის მუშათა დაცვის კომიტეტის განცხადება (მე-4 გვერდი).

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ზეგავლენა ირანის მთავრობაზე (მე-4 გვერდი).

კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის შემდგომი აღმავლობისათვის

ჩვენს ქვეყანაში კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები უდიდეს როლს ასრულებენ მშრომელთა ფართო მასების კომუნისტურად აღზრდის საქმეში. ისინი სოციალისტური კულტურის ნამდვილი კერები არიან.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი 1923 წელს წერდა: „...არსად ხალხის მასები ისე არ არიან დაინტერესებული ჭეშმარიტი კულტურით, როგორც ჩვენში; არსად ამ კულტურის საკითხები არ ისმება ისე ღრმად, ისეთი თანდათანობით, როგორც ჩვენში...“

საბჭოთა ხალხის სამსახურში ჩაყენებულია მრავალი სკოლა და უმაღლესი სასწავლებელი, თეატრები და კლუბები, რადიო, კინო, ბიბლიოთეკები, მუზეუმები და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის სხვა კერები. საბჭოთა სახელმწიფო არ ზოგავს სახსრებს კომუნიზმის მშენებელ ადამიანთა კულტურული დონის შემდგომი ამაღლებისათვის. ყოველწლიურად ასეულ მილიონობით მანეთი იხარჯება კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ახალი კერების მოსაწყობად, არსებულის გასაფართოებლად, მათი მუშაობის გასაძლიერებლად.

მრავალფეროვანია დღეს საბჭოთა სოფლის კულტურული ცხოვრება. სოფელ ადგილებში ყველგან არსებობენ და მუშაობენ სამკითხველოები, კლუბები, ბიბლიოთეკები, კულტურის სახლები, ასობით რადიოკვანძები და კინოდანადგარები. ჩვენი რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში მოეწყო ისეთი კულტურული დაწესებულებანი, როგორიც არის აგრონომიული მეცნიერებისა და კულტურის სახლები, ლექტორიუმები, მუზეუმები და სხვ. კულტურის სწორედ ამ კერებს მოსახლეობაში ყოველდღიურად შეაქვთ ცოდნა და განათლება, მშრომელებს აცნობენ ჩვენი მეცნიერების უკანასკნელ აღმოჩენებს, წარმოების ნოვატორთა ახალ მიღწევებს, საბჭოთა მწერლების, მუსიკოსებისა და მხატვრების ახალ ნაწარმოებებს.

სწორედ ამიტომ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობის გაუმჯობესებისათვის ყოველდღიური ზრუნვა ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანიზაციების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

დედაქალაქისა და რესპუბლიკის სხვა ქალაქების ბევრ საწარმოს აქვს მუშათა კლუბები. ბევრგან ამ კლუბების მთელი საქმიანობა ძირითადად კინოსურათების ჩვენებით შემოიფარგლება, ხოლო მათთან არსებული თვითმოქმედი წრეების მუშაობა სამარცხვინოდ ჩამორჩება. თუკი სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშათა კლუბს შეუძლია სანიმუშოდ მოაწყოს საკლუბო მუშაობა, ფართოდ ჩაბას მასში წარმოების მოწინავე ადამიანები, მთელი ახალგაზრდობა, რატომ არ შეიძლება იგივე გაიკეთონ დანარჩენ საწარმოთა კლუბებმაც? თუ კი თელავის კულტურის სახლმა შეძლო სანიმუშოდ მოეწყო მასთან არსებული დრამატული, სახვითი ხელოვნებისა და ლიტერატურული წრეების, აგრეთვე ჭრა-კერვისა და ავტომანქანის მართვის შემსწავლელი წრეების მუშაობა; თუ კი ამ სახლთან საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ფ. მახათელაშვილის ხელმძღვანელობით არსებული სიმღერისა და ცეკვის ენსამბლი არა მარტო რაიონში, არამედ მთელ საქართველოშიც საკმაო პოპულარობით სარგებლობს, რატომ იგივე არ შეუძლიათ გააკეთონ ახმეტის და ყვარლის კულტურის სახლებმა, აბაშის, ვანის, წითელწყაროს, მცხეთისა და ქაჯრეთის კულტურის სახლებმა და კლუბებმა?

სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს სოფლად საბიბლიოთეკო მუშაობის გაუმჯობესება. ბიბლიოთეკები მოწოდებული არიან დაეკმაყოფილონ მოსახლეობის მზარდი პოლიტიკური და კულტურული მოთხოვნილება. ჩვენი ბიბლიოთეკების მუშაკთა კეთილმობილური მოვალეობაა შეიტანონ წიგნი მშრომელთა ფართო მასებში.

გურჯაანის რაიონულ ბიბლიოთეკას 2.000-ზე მეტი ძუძმივი მკითხველი ჰყავს. მას ერთი წლის განმავლობაში მკითხველებზე გაეცემული აქვს 30 ათასზე მეტი წიგნი. გეგეჭკორის რაიონულ ბიბლიოთეკას 1.300-მდე მუდმივი მკითხველი ჰყავს. ამ მხრივ კარგი მდგომარეობა აქვთ აგრეთვე ლაგოდეხის, საჩხერისა და სხვა რაიონების ბიბლიოთეკებს. მაგრამ მთელ რიგ რაიონებში ბიბლიოთეკები არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ.

მაგალითად, კასპის, ქარელის, წალკის, თერჯოლისა და ზოგიერთი სხვა რაიონების სასოფლო ბიბლიოთეკები მოთავსებულია უვარგის, ბნელ და ვიწრო ბინებში. ასეთ ბიბლიოთეკებს მკითხველი ნაკლებად ეტანება. წალენჯიხაში რაიონულ ბიბლიოთეკას შენობა დაენგრა. ამის გამო ის სასტუმროს ერთ-ერთ ოთახში გადაიტანეს. ეს მოხდა გასული წლის სექტემბერში. მას შემდეგ ბიბლიოთეკის მუშაობა ფაქტიურად შეწყვეტილია.

საბიბლიოთეკო კოლექტორის მოუქნელი მუშაობის შედეგად ბიბლიოთეკები ჯერ კიდევ ცუდად არიან წიგნებით დაკომპლექტებული. საბიბლიოთეკო კოლექტორი ლიტერატურას როგორც თემატიკის, ისე რაოდენობის მხრივ, ანაწილებს რაიონების სამეურნეო და სხვა თავისებურებათა გაუთვალისწინებლად. მაგალითად, ხაშურის რაიონის სოფლების ბიბლიოთეკების უმრავლესობაში დიდი რაოდენობით გაგზავნეს წიგნები „ჩაის ბიოქიმია“, „სუბტროპიკული ხურმა“, „საქართველოში გავრცელებული ლიმონის ჯიშები“ და სხვ. სამაგიეროდ იმავე ბიბლიოთეკებში საკმაო რაოდენობით არ არის ლიტერატურა მემინდვრეობაზე, მეხილეობაზე, მეჭარხლეობაზე და სხვ. ხაშის რაიონის ბიბლიოთეკებში დიდი რაოდენობით არის შეტანილი 1941 წელს გამოცემული ალგებრისა და ტრიგონომეტრიის ამოცანათა კრებულები; კასპის რაიონის სოფლების ბიბლიოთეკებში დაგროვილია უმაღლესი მათემატიკისა და საუნივერსიტეტო კურსის ფიზიკის სახელმძღვანელოები.

საჭიროა საქართველოს პოლიგრაფმრეწველობის, გამომცემლობათა და წიგნით ვაჭრობის სამმართველომ ყურადღება მიაქციოს ამ არანორმალურ მდგომარეობას და წესრიგი დაამყაროს საბიბლიოთეკო კოლექტორის მუშაობაში.

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ინტერესები მოითხოვს, რომ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები ხშირად ამოწმებდნენ მათს მუშაობას, განიხილავდნენ კულტურის კერების საქმიანობის საკითხებს, სახავდნენ პრაქტიკულ ღონისძიებებს ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად და ეხმარებოდნენ მათ ამ ღონისძიებათა განხორციელებაში.

ჩვენს რესპუბლიკაში

★ ★ ★

ქართველ ფეიქარ-ინჟინერთა პირველი ნაკადი

გორი. (საკ. კორ.). თბილისის კიროვის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან ამ რამდენიმე წლის წინათ შეიქმნა მსუბუქი მრეწველობის ფაკულტეტი, რომელიც ამზადებს სპეციალისტებს რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის საწარმოებისათვის. წელს ინსტიტუტს პირველად ამთავრებს 60 კაცი. ეს არის უმაღლესი განათლების მქონე ფეიქარ-ინჟინერთა პირველი გამოშვება საქართველოში.

ამ დღეებში გორში მოეწყო გამოსაშვებ სტუდენტთა მიერ სადიპლომო პროექტების საჯარო დაცვა. გორის საფეიქრო კომბინატის კლუბში შეიკრიბნენ თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ორასამდე სტუდენტი და პროფესორ-მასწავლებელი, გორის საფეიქრო კომბინატის ინჟინერ-ტექნიკოსები და სტახანოველი ფეიქრები.

სადიპლომო პროექტების დაცვისადმი მიძღვნილი სხდომა გახსნა პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბოჭკოვან მასალათა მექანიკური ტექნოლოგიის კათედრის გამგემ დოცენტმა ვ. ფხალაძემ. სიტყვები წარმოთქვეს ამავე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ სასწავლო ნაწილში პროფესორმა ა. გულისაშვილმა და გორის საფეიქრო კომბინატის დირექტორმა, სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარემ გ. მამუჩაშვილმა. სადიპლომო თემა იყო: „მაღალხარისხოვანი ბამბის ქსოვილების დამზადებისათვის სართავი და საქსოვი ფაბრიკები კომბინატის სისტემაში.“

საგამოცდო კომისიამ მაღალი შეფასება მისცა ნ. ცაგარლის, ო. ბეჟუაშვილის და ა. ჟილატოვის სადიპლომო შრომებს. აღნიშნულმა სტუდენტებმა ინსტიტუტი ფრიადზე დამთავრეს. კარგი შეფასება მიეცა აგრეთვე გ. ყუბანეიშვილის, შ. ჯაჯურიძის და პ. ანდღულაძის შრომებს.

ზემოაღნიშნული თაკულტეტის სტუდენტებმა სადიპლომო შრომები დაიცვეს აგრეთვე თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში და მსუბუქი მრეწველობის სხვა საწარმოებში. ახალგაზრდა სპეციალისტები იმუშავებენ რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში.

მექანიზაციორთა შეჯიბრება

ახალქალაქი. (საკ. კორ.). მეცხრე სატრაქტორო ბრიგადა ყველაზე მოწინავეა ახალქალაქის მტს-ში. ბრიგადის წევრები მხურვალედ გამოეხმაურნენ ჩვენი ქვეყნის მოწინავე სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირთა თაოსნობას — მოეწყოს სოციალისტური შეჯიბრება ტრაქტორების რემონტის გეგმის ვადამდე და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის უკეთესად გამოყენებისათვის. ამ მექანიზატორებმა იკისრეს 35 დღით ადრე დაამთავრონ ტრაქტორების, კომბაინის და მისაბმელი მანქანა-იარაღების რემონტი. მოწინავე მექანიზატორების ვ. კარახანიანის, ს. გაბრიელიანის და ე. კარახანიანის ვალდებულებაა ვადაზე 40 დოით ადრე დაამთავრონ რემონტი. ვ. ნახატანიანმა და ს. ქოშტაშიანმა იკისრეს წლის განმავლობაში თვითეულმა დაზოგოს ტონანახევარი საწვავი.

მეცხრე სატრაქტორო ბრიგადის მექანიზატორთა შეჯიბრების სოციალისტურ ვალდებულებაში ნათქვამია, რომ ისინი თავიანთი მომსახურების კოლმეურნეობებში უზრუნველყოფენ ჰექტარზე საშუალოდ 20-22 ცენტნერი ხორბლის მოყვანას. ბრიგადამ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ვაჩიანის მტს-ის მეორე სატრაქტორო ბრიგადა.

გაღიდდა შრომადღის ანაზღაურება

ქარელი. (საკ. კორ.). ქარელის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ა. ბაბლიძე) გასულ წელს 80 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე მიიღეს 520 ცენტნერი შაქრის ჭარხალი ხაცვლად გეგმით გათვალისწინებული 210 ცენტნერისა.

კოლმეურნეობის მეექვსე ბრიგადამ (ბრიგადირი ჯ. ფილიშვილი) 15 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 700 ცენტნერი ჭარხალი, ხოლო ამავე ბრიგადის მერგოლურმა, საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ბარბარე ოქროშიაშვილმა 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 787 ცენტნერი. კოლმეურნეობამ ჩაბარებული ჭარხლიდან ფულადი ანაზღაურების გარდა 520 ცენტნერი შაქარი მიიღო.

კოლმეურნეები კარგ მოსავალს იღებენ. მეექვსე ბრიგადის ბრიგადირის ჯამბულ ფილიშვილის ოჯახმა გასულ წელს გამოიმუშავა 476 შრომადღე და მიიღო 650 კილოგრამი შაქარი და ავანსად 2.400 კილოგრამი მარცვლეული.

გარდა ფულისა კოლმეურნეს შრომადღეზე ხვდება 5 კილოგრამი მარცვლეული, 130 გრამი შაქარი და სხვა პროდუქტები.

დეპოელთა მიღწევები

ხაშური. (საკ. კორ.). ახალი წლის პირველი დღეები ხაშურელმა მევაგონეებმა მაღალი საწარმოო მაჩვენებლებთ აღნიშნეს. 10 იანვრისათვის სატვირთო ვაგონების კაპიტალური, საშუალო და წლიური შეკეთებიდან უკვე გამოშვებულია 26 ვაგონი.

დეპოში სერიოზული ყურადღება ექცევა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას. ახალი წლიდან აქ დაწერგეს ლიუბლინოელი ნოვატორების ტ. ჟანდაროვას და ო. აგაფონოვას მეთოდი. უკვე მოპოვებულია პირველი წარმატებანი. დეპოს ახალგაზრდა დურგლმა ვლ. მარჯანიძემ ვაგონების კაპიტალურ შეკეთებაზე დავალება ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული ხუთი დღისა ოთხ დღეში შეასრულა. მის მიერ შესრულებულმა სამუშაომ საუკეთესო შეფასება მიიღო. ამავე დროს მან ერთი ვაგონის შეკეთებაზე გასწია 363 მანეთის ეკონომია. ნოვატორთა მეთოდების დანერგვაში თავი გამოიჩინეს დურგლებმა რ. ხომასურიძემ, კ. კოპაძემ და რ. ქარუხნიშვილმა. ვაგონების ამწყობი ზეინკლები ს. ჯიტიაშვილი და ა. ჯიმლაძე მთლიანად პირველხარისხოვან დეტალებს ამზადებენ, 8 საათის ნაცვლად დაკეთებს 6 საათში ასრულებენ.

ახალი წლიდან თვითეულ მომუშავეზე შემოღებულია პირადი ბარათი, სადაც შეაქვთ მუშის ყოველდღიური საწარმოო მაჩვენებლები.

ღრეს ორთაჭალჯესის მშენებლობაზე

დიდი წარმატებით დაიწყეს ორთაჭალჯესის მშენებლებმა ახალი სამეურნეო წელი. მათი ამოცანაა მიმდინარე წლის ბოლოსათვის სადგურის პირველი რიგი აამუშაონ, თბილისს დამატებით მისცენ იაფი ელექტროენერგია. პირველი რიგის სამუშაოთა შესრულებაში შედის კაშხალის ორი ბურჯის მშენებლობის დამთავრება და ამ ბურჯებში ტურბინებისა და გენერატორების, აგრეთვე ყველა საჭირო მოწყობილობის დამონტაჟება, სანაპირო საყრდენი კედლების ამოყვანა, კაშხალის ბურჯთა გამოყენების საშუალებით ხიდის მშენებლობის დამთავრება და მესამე ბურჯის, აგრეთვე ხიდის მარჯვენა საყრდენის ასაგებად მუშაობის დაწყება.

პირველი ორი ბურჯის მშენებლობა სრული მასშტაბით არის გაშლილი. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ორივე ბურჯის დაბეტონება. მშენებლებმა საბრძოლო ამოცანად დაისახეს წყალდიდობის თვალსაზრისით საგარანტიო სიმაღლემდე ორივე ამ ბურჯის კორპუსების დაბეტონება დაამთავრონ მარტის შუა რიცხვებამდე, რათა შემდგ შესაძლებელი გახდეს მდინარე მტკვრის მარცხენა მხარეზე გადაგდება, მდინარის გატარება უკვე ამოყვანილ ბურჯებს შუა და კაშხალის მშენებლობის განგრძობა მდინარის მარჯვენა მხრის მიმართულებით.

ამ ამოცანის შესრულება რომ არ შეფერხდეს, გაზაფხულიდან მდინარე მტკვარი მარცხნივ რომ გადაუშვან და წარმატებით გაშალონ კაშხალის ზემოთა ზოლის ასაგები სამუშაოები, მშენებლები 1 იანვრიდან სადღეღამისო გრაფიკით მუშაობაზე გადავიდნენ.

იანვრის პირველი ნახევრის განმავლობაში სამუშაოთა შესრულების სადღეღამისო გრაფიკს მშენებლები სისტემატურად 110-115 პროცენტით ასრულებენ. გრაფიკის მიხედვით სამუშაოთა გადაჭარბებით შესრულებაში თავი ისახელეს მეარმატურე ნიკოლოზ ბაბალაშვილმა, ბურჯების მშენებელთა იმ ბრიგადებმა, რომლებსაც ვლადიმერ გიგოლაშვილი, ალექსანდრე მერკულოვი, პავლე ხუციანიძე, გიორგი ხიზანიშვილი და კირილე სერგა ხელმძღვანელობენ.

12 იანვრიდან მშენებლები უკვე შეუდგნენ იმისათვის მზადებას, რომ უახლოეს ხანში დაიწყონ ფარების დასაყენებელი ბუდეების დამონტაჟება, მომავალი სანაპირო ქუჩის ქვლების შეერთება. მალე დაიწყება მდინარის მეორე მხარეზე გადასაგდები ლითონის მესრული ზღუდარის გადატანა მტკვრის მარჯვნივ. ეს სამუშაო ძალიან შრომატევადია. ლითონის მესრული ზღუდარი მდინარეში ჩადუღაბებულია ბეტონით. საჭირო იქნება ელექტროაპარატით მესრის გადაჭრა ბეტონის საფუძვლის დონეზე, ასეთივე ბეტონის საფუძვლის გაკეთება მარჯვენა მხარეზე, ხოლო მარცხნივ დატოვებული ბეტონის საზღუდარე საფუძვლის აფეთქება, რათა მდინარემ უფრო თავისუფლად იაროს ახალი გზით.

მშენებლების მიერ სადღეღამისო გრაფიკით გათვალისწინებულ სამუშაოთა სისტემატური გადაჭარბებით შესრულება იმის საწინდარია, რომ ორთაჭალჯესელები წარმატებით გადაჭრიან მათ წინაშე მდგომ საბრძოლო ამოცანებს.

ღ. ამირანიძე

ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტში

15 იანვარს გაიმართა ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტის მორიგი პლენარული სხდომა.

პლენუმმა განიხილა კინოსა და მუსიკის ნაწარმოებნი.

მოხსენებები გააკეთეს ი. გ. ბოლშაკოვმა და ტ. ნ. ხრენიკოვმა.

1951 წლის სტალინური პრემიის მოსაპოვებლად წარდგენილია მხატვრული და დოკუმენტალურ-ქრონიკალური კინოფილმები. მათგან მეტი ნაწილი მიძღვნილია სოციალისტური მშენებლობისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა შთაგონებული შემოქმედებითი შრომის თემებისადმი. მუსიკალურ ნაწარმოებთა შორის არის ბევრი მოკავშირე რესპუბლიკის კომპოზიტორთა ოპერები, ორატორიები, სიმფონიური სიუიტები და პოემები, სიმღერები და ცეკვები. ახალ ნაშრომთა შორის არის ნაწარმოებნი ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის შესახებ, კომუნიზმის დიად მშენებლობათა, ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის შესახებ.

განხილვაში მონაწილეობა მიიღეს ა. ფადეევმა, ა. გოლდენვეიზერმა, დ. შოსტაკოვიჩმა, ვ. ზახაროვმა, ი. შაპორინმა, ნ. გოლოვანოვმა, ა. ნოვიკოვმა, კ. კარაევმა, ა. გულაკიანმა, ი. პარიევმა, ა. ვენცლოვამ, ს. მუკანოვმა, ს. მიხალკოვმა, მ. ტურსუნ-ზადემ და სხვებმა. (საკ. ინ.).

საბჭოთა ავიოსპორტსმენებს გადაეცათ დიპლომები

სსრ კავშირის ვ. პ. ჩკალოვის სახელობის ცენტრალურ აეროკლუბში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტისა და საერთაშორისო საავიაციო ფედერაციის (ფაი) დიპლომები გადაეცათ საბჭოთა ავიოსპორტსმენებს, რომლებმაც დამყარეს საკავშირო და მსოფლიო რეკორდები.

დიპლომები გადაეცათ: მ. პილაევას — დანიშნულ პუნქტში და სტარტზე დაბრუნებით პლანერით ფრენის სიშორის საკავშირო და მსოფლიო რეკორდის დამყარებისათვის, მ. დრიგოს — 1.000 კილომეტრი მარშრუტით „იაკ-18“ სასპორტო თვითმფრინავით ფრენის სიჩქარის საკავშირო და მსოფლიო რეკორდების დამყარებისათვის, ი. ფოროსტენკოს — 500 კილომეტრი მარშრუტით „იაკ-11“ სასპორტო თვითმფრინავით ფრენის სიჩქარის საკავშირო და მსოფლიო რეკორდების დამყარებისათვის, ნ. კუზნეცოვს — 500 კილომეტრი მარშრუტით „იაკ-18“ სასპორტო თვითმფრინავით საკავშირო და მსოფლიო რეკორდების დამყარებისათვის, ნ. გოლოვანოვს — 1.000 კილომეტრი მარშრუტით „იაკ-11“ სასპორტო თვითმფრინავით ფრენის სიჩქარის საკავშირო და მსოფლიო რეკორდების დამყარებისათვის და ვ. პანჩენკოს — 2.000 კილომეტრი მარშრუტით „იაკ-18“ სასპორტო თვითმფრინავით ჩქარი ფრენის საკავშირო და მსოფლიო რეკორდების დამყარებისათვის.

დიპლომების გადაცემისას დამსწრე სსრ კავშირის ვ. პ. ჩკალოვის სახელობის ცენტრალური აეროკლუბის სპორტსმენებმა მიულოცეს რეკორდსმენებს ჯილდოს მიღება. (საკ. ინ.).



ორთაჭალჯესის მშენებლობაზე. უკვე მკაფიოდ ეხატება თბილისის ახალი მშვენება—ორთაჭალჯესის ხაბოლოო კონტური. სურათზე (შუაში) წარმოდგენილია ხადგურის პირველი რიგის მშენებლობის ხედი. უკან მოჩანს ორწყება ფანჯრიანი შენობა. უახლოეს ხანში ამ შენობას აიღებენ და მის ადგილას სანაპირო საყრდენ კედლთა ნაწილებს შეაერთებენ. მარცხნივ სურათზე—მეარმატურე ნიკოლოზ ბაბალაშვილი ამზადებს არმატურას მდინარის მიმმართველი კედლის დახაბეტონებლად. მარჯვნივ — ალექსი ზირაქიშვილი და შაქრო ვართანოვი პერფორატორული ბურღებით ამუშავებენ გრანიტის ლოდებს. ეს ლოდები საჭიროა კაშხალის ბურჯების წყალქვეშა ნაწილის მოსაპირკეთებლად, რათა ბეტონის მახა დაცულ იქნას მდინარის მავნე გავლენისაგან.

ფოტო რ. აკოფოვისა

ერაოვნული ბიბლიოთეკა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესია

ახალი მსოფლიო ომის საფრთხის საწინააღმდეგო და ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ

ა. ი. ვიშინსკის სიტყვა პოლიტიკურ კომიტეტში 1952 წლის 12 იანვარს

როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატების მთავარი ამოცანა ევროპაში შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის აჩესონის აზრით? იგი ამაზე უპასუხებს ორი სიტყვით: „ევროპის შეიარაღება". კვლავ ასე გამოდის: შეიქმნას რაც შეიძლება მეტი იარაღი, შეიქმნას რაც შეიძლება მეტი შეიარაღებული ძალები, შეიქმნას ეს ყბადაღებული „ძალის სიტუაცია", სულ უფრო და უფრო გადიდდეს შეიარაღება,—აი რა არის საჭირო, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და მთელმა მსოფლიომ მოიპოვონ „აყვავება" და „კეთილდღეობა", ჯერჯერობით კი უნდა აღინიშნოს მდგომარეობის სულ უფრო და უფრო გაუარესება ამერიკის შეერთებულ შტატებშიც და სხვა ქვეყნებშიც, რომლებიც მათი გავლენის სფეროში იმყოფებიან, ჯერჯერობით კი არის იძულებითი აღიარება: „ვიყინებით", „ნახევრად გავიყინეთ", „შავბნელი აჩრდილი", „მატარებელი, რომელიც უფსკრულისაკენ მიექანება" და სხვ. და სხვ.

აი რატომ აქცევენ ამერიკის შეერთებული შტატები ესოდენ ყურადღებას „შუმანის გეგმას" — ქვანახშირისა და ფოლადის ევროპულ ერთობლივ ევროპის გაერთიანებას, „პლევენის გეგმას" — ევროპის არმიას და მასში დასავლეთ გერმანიის რეგულარული არმიის მონაწილეობას. მაგრამ, არსებითად რომ ითქვას, მთელი ეს „შავბნელი აჩრდილები" და „სერიოზული ეკონომიური და ფინანსური სიძნელენი" ხომ ორგანულად დაკავშირებული არიან „შუმანის გეგმასთანაც", „პლევენის გეგმასთანაც" და დასავლეთ გერმანიის ხელახლა შეიარაღებასა და მთელ რიგ ანალოგიურ საკითხებთანაც; უფრო მეტიც, ეს სერიოზული ეკონომიური და ფინანსური სიძნელენი წარმოადგენენ ყველა ზემოხსენებული გეგმის პირდაპირ შედეგს.

ლაპარაკობდა რა ახლო და შუა აღმოსავლეთზე, აჩესონმა მონახა ორი ქვეყანა, რომლებიც მან გამოაცხადა „სასიხარულო ფაქტორად ამ რაიონში", — ესენი არიან საბერძნეთი და თურქეთი. მაგრამ, საბერძნეთისა და თურქეთის გარდა, ამ რაიონში არსებობენ კიდევ მთელი რიგი ქვეყნები, რომლებიც ბ-ნმა აჩესონმა ვერ შეამჩნია. ეს არის მთელი რიგი ქვეყნების დიდი რაიონი, რომელიც უკვე დიდი ხანია იპყრობს ამერიკული და ინგლისური მონოპოლიების ყურადღებას. ეს რაიონი, ბ-ნ აჩესონის აღიარებით, ამერიკის შეერთებული შტატებისათვის წარმოადგენს უდიდეს მნიშვნელობას თავისი ხალხის, თავისი რესურსების, თავისი სტრატეგიული მდგომარეობისა და თავისი მნიშვნელოვანი საკომუნიკაციო არტერიების გამო. ცნობილია, რომ სწორედ ამ გარემოებებმა გამოიწვიეს ცდები დაემორჩილებინათ ეს ქვეყნები... ინგლის-ამერიკის გავლენისათვის, გაეხადათ ეს ქვეყნები თავიანთ სამხედრო ბაზად და პლაცდარმად აგრესიული გეგმების განხორციელებისათვის იმ შუა აღმოსავლეთის სარდლობის დახმარებით, რომელიც თავს უნდა მოახვიონ ამ ქვეყნებს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ინგლისმ, საფრანგეთმა და თურქეთმა, და იმ სამხედრო ღონისძიებათა დახმარებით, რომლებსაც ამ ქვეყნების მთავრობები თავს ახვევენ ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებს და მოითხოვენ მათს განხორციელებას, მიუხედავად ამ ქვეყნების პროტესტისა აღნიშნულ ღონისძიებათა წინააღმდეგ. ბ-ნმა აჩესონმა შენიშნა მარტო საბერძნეთი და თურქეთი, და ამით საბერძნეთი და თურქეთი ცოტა უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა. რა თქმა უნდა, ეს ძალიან სასიამოვნოა საბერძნეთისა და თურქეთის აქ დამსწრე წარმომადგენლებისათვის, რომლებიც ბ-ნმა აჩესონმა შეაქო, ასე ვთქვათ, მფარველურად მოუთათუნა მხრებზე ხელი. შუა და ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში აჩესონი ამერიკის შეერთებული შტატებისათვის სასიხარულოს ვერას ხედავს. მაგრამ რას ნიშნავს ეს — რომ საქმე ახლო და შუა აღმოსავლეთის დანარჩენ ქვეყნებში „სასიხარულოდ" ვერ არის? რა აწუხებთ აჩესონს და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას? აწუხებთ ეგრეთწოდებული შუა აღმოსავლეთის სამხედრო სარდლობის ამერიკული გეგმის ჩაშლა. ვიკამათებ ნათქვამს, რომდენადაც ამ „გეგმაზე" ჩვენ უკვე დაწვრილებით ვილაპარაკეთ აქ. გიგახსენებთ მხოლოდ, რომ, ლაპარაკობდა რა პერსპექტივებზე ამ რაიონებისათვის, აჩესონმა თქვა, რომ 1952 წელს ახლო და შუა აღმოსავლეთის ამბები ამერიკის შეერთებული შტატებისაგან მოითხოვენ „ხელმძღვანელი კადრების გადიდების" ღონისძიებებს, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების უფრო მეტ მზადყოფნას იკისრონ „სულ უფრო გადიდებული პასუხისმგებლობა ამ რაიონებში".

ჩვენ ვიცით, თუ რას ნიშნავს, როცა ამერიკის შეერთებული შტატები მოგვაგონებენ თავიანთ პასუხისმგებლობას მსოფლიოს ამა თუ იმ რაიონისათვის. ეს ნიშნავს, არც მეტი და არც ნაკლები, იმას, რომ რამდენადაც ამერიკის შეერთებული შტატების მთელ პოლიტიკას საფუძვლად უდევს „ძალის სიტუაცია", კისრულობენ რა ეგრეთწოდებულ „პასუხისმგებლობას", ამერიკის შეერთებული შტატები ფარავენ თავიანთ მისწრაფებას ასეთი რაიონი მოაქციონ თავიანთ კონტროლში და კიდევაც მოახდინონ ასეთი რაიონის ოკუპაცია საკუთარი და თავიანთი მოკავშირეების შეიარაღებული ძალებით. სხვანაირად როგორ შეიძლება იკისრო „პასუხისმგებლობა" ცარიელი ხელებით? ამერიკის შეერთებული შტატების ლაპარაკი „პასუხისმგებლობაზე" სამხედრო ოკუპაციის პრელუდიაა! შუა და ახლო აღმოსავლეთის რაიონებისათვის აჩესონის სიტყვის ეს ნაწილი სხვა არა არის რა, თუ არა იმის მოგონება, რომ ამერიკის შეერთებული შტატები, კისრულობენ რა პასუხისმგებლობას ამ რაიონებისათვის, — თუმცა, არავინ იცის, ვინ დააკისრა ამერიკის შეერთებულ შტატებს ასეთი პასუხისმგებლობა, — აპირებენ მიიღონ ღონისძიებანი, რათა შესაძლებლობა ექნეთ იკისრონ ეს ეგრეთწოდებული „პასუხისმგებლობა".

ამერიკის შეერთებული შტატების ასეთმა „პასუხისმგებლობამ" შორეული აღმოსავლეთის რაიონისათვის, როგორც ვიცით, გამოიწვია საომარი მოქმედება კორეაში. ჩვენ ვიცით, რომ ასეთი „პასუხისმგებლობით" ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული ძალები ცდილობენ მიჩქმალონ თავიანთი აგრესიული პოლიტიკა, ერთი მხრივ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართ, და, მეორე მხრივ, თავიანთი მფარველობა გაკეტრებული და ჩინელი ხალხის მიერ ჩინეთიდან განდევნილი ჩან კაი-შის ავაზაკების მიმართ.

მსოფლიოს მესამე რაიონს, რომელიც აჩესონმა ამ სიტყვაში მოიხსენია, როცა განსაზღვრავდა ამერიკის საგარეო პოლიტიკის შემდგომ მიმართულებას, წარმოადგენს შორეული აღმოსავლეთი. კორეელი ხალხისათვის ამერიკელ ინტერვენტთა მიერ თავსმოხვეულ ომს კორეაში აჩესონმა უწოდა „კორეაში გარდაქმნის დიდი წელიწადი". კორეის ქალაქებისა და სოფლების ბარბაროსული დანგრევა, ადამიანთა მასობრივი მკვლელობა, კორეის მოსახლეობის თითქმის უკლებლივ ამოწყვეტა იქ, სადაც საომარი მოქმედება წარმოებს და იმ რაიონებში, რომლებიც საომარი მოქმედების ამ ზაზის ზურგში მდებარეობენ შორს ჩრდილოეთ კორეის ტერიტორიაზე, — ეს თურმე არის სწორედ „დიდი გარდაქმნა", ხოლო დრო, როცა ყოველივე ეს მოხდა, — არის „კორეაში დიდი გარდაქმნის წელიწადი". განა შეიძლება წარმოვიდგინოთ სიტყვების მეტი აბუჩად აგდება, ვიდრე ამ შემთხვევაშია?

ამასთან ერთად აჩესონმა კორეის ამბები მოიყვანა „კოლექტიური უშიშროების" ეფექტიანობის დასამტკიცებლად. მან „საუცხოო" უწოდა მუშაობას, რასაც ამერიკის წარმომადგენლები ეწევიან პანმინჯონში და რაც, სანამდვილეში, როგორც მთელი მსოფლიოსათვის ცხადია, იმით ამოიწურება, რომ უფრო მეტ ხანს გააჭიანურონ მოლაპარაკება საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ, განუწყვეტლივ ართულონ ეს მოლაპარაკება ყოველგვარი უსამართლო და სრულიად დაუსაბუთებელი, თვითნებური მოთხოვნებით, რომელთა წამოყენება შეიძლება მხოლოდ იმით აიხსნას, რომ არა სურთ მიაღწიონ კორეაში დაზავების მოლაპარაკების შესახებ კომისიის წინაშე მდგომი ამოცანების რაიმე და რამდენადმე დამაკმაყოფილებელ გადაწყვეტას და არა სურთ წარმატებით დაამთავრონ მოლაპარაკება და შეწყვიტონ საომარი მოქმედება.

გასაკვირველი როდია, რომ თავის საახალწლო სიტყვაში ბ-ნი აჩესონი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ ჯერ კიდევ არავინ იცის, როგორც მან თქვა, — „მივაღწევთ თუ არა ჩვენ ომის დამთავრებას კორეაში და სახელდობრ როდის". მაგრამ ეს მთლიანად და სავსებით დამოკიდებულია ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობაზე.

ნათქვამი საკმარისია, რომ მივხვდეთ, თუ რა მომავალს უქადის უახლესი წელიწადი მსოფლიოს — ევროპას, შუა და ახლო აღმოსავლეთს და შორეულ აღმოსავლეთს და იმავე ამერიკის შეერთებულ შტატებს, თუ ამერიკის შეერთებული შტატები განაგრძობენ იმავე გზას — თავიანთი აგრესიული გეგმების მომზადებისა და განხორციელების გზას ამერიკის მონოპოლიების ვიწრო — ანგარებითი ინტერესებისათვის.

მაგრამ ამ ქვეყნების აგრესიული ძალები ფიქრობენ კვლავაც განაგრძონ საგარეო პოლიტიკის თავიანთი ახლანდელი კურსი. ისინი აპირებენ განაგრძონ ეს კურსი, მიუხედავად სულ უფრო და უფრო მტკიცე გაფრთხილებისა, რომელიც ყოველი მხრიდან გაისმის ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ატლანტიკის ბლოკის სხვა ქვეყნებში. ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები და საქმიანი წრეების წარმომადგენლები სულ უფრო და უფრო იძლევიან ასეთი გაფრთხილებას, რომელიც ამხილებს აგრესიული ძალების ანტიეროვნულ და ომისადმი მისწრაფებას ზემოაღნიშნულ ქვეყნებში, რომლებიც, თავიანთი პოლიტიკით იწვევენ სულ ახალ-ახალ საფრთხეს, რაც ემუქრება ხალხთა მშვიდობასა და თანამშრომლობას.

მდგომარეობა მართლაც ამართლებს ასეთ გაფრთხილებას და ასეთ შეშფოთებას იმ ამბების შემდგომი განვითარების გამო, რომლებიც საფრთხეს უქმნიან მშვიდობას.

ასეთია საერთაშორისო მდგომარეობა ამჟამად. ნათქვამი, ვგონებ, საკმარისია, რათა არავითარი ეჭვი არ დარჩეს, რომ საჭიროა მიღებულ იქნას სასწრაფო ღონისძიებანი, რათა შეიცვალოს ეს მდგომარეობა, აღმოიფხვრას ახალი ომის საფრთხე და უზრუნველყოფილ იქნას ხალხთა მშვიდობა და უშიშროება. ეს არის ჩვენი ვალი, ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის ვალი, ყველა იმათი ვალი, ვინც არა სიტყვით, არამედ საქმით გამოდის ახალი მსოფლიო ომის საფრთხის წინააღმდეგ, ვინც იბრძვის ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებისათვის.

საბჭოთა კავშირი, თანმიმდევრულად და განუწყვეტლივ იბრძვის რა იმისათვის, რომ ყველა მშვიდობისმოყვარე ქვეყანასთან მეგობრული ურთიერთობა დაამყაროს და განამტკიცოს, განუწყვეტლივ იბრძვის რა საბჭოთა სახელმწიფოს შექმნის პირველი დღეებიდანვე მშვიდობისათვის და ომის წინააღმდეგ, გულგრილად ვერ მოეპყრობა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და ზოგიერთი ქვეყნის აგრესიული წრეების ვეროგულ ზრახვებს, რომლებმაც შექმნეს თავიანთი ატლანტიკის ბლოკი. ეს ბლოკი ისახავს აგრესიულ მიზნებს ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობით, რომლებიც თავიანთი მიზნებისათვის იყენებენ იმას, რომ ატლანტიკის ბლოკის მონაწილე სხვა ქვეყნები მათზე დამოკიდებული არიან ფინანსურად, ეკონომიურად და პოლიტიკურად.

ადრევე გენერალური ასამბლეის წინა სესიებსა და ამ სესიაზეც ჩვენ აღვნიშნეთ ატლანტიკის ბლოკის აგრესიული ხასიათი. ამ ბლოკის მიზნებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებთან საერთო არა აქვთ რა. ეს ბლოკი აგებულია იმ პრინციპების საფუძველზე, რომლებსაც აგრეთვე საერთო არა აქვთ რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპებთან, იგი ისახავს ამოცანებს, რომლებიც აგრეთვე აშკარად ეწინააღმდეგებიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ამოცანებს.

ჯერ კიდევ 1949 წლის იანვარში სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრო თავის განცხადებაში ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტის შესახებ აღნიშნავდა ამ პაქტის ისეთ თავისებურებებს, რომლებიც არავითარ ეჭვს არ ტოვებენ, რომ მისი შექმნა და მოქმედების პროგრამა ექვემდებარება მსოფლიო ბატონობის ინგლის-ამერიკის გეგმების განხორციელების მიზნებს. მას შემდეგ მოხდა საკმაოდ ბევრი ამბავი, რომლებმაც სავსებით დაადასტურა ამ მტკიცების სისწორე. ამ ამბებმა მთელი დამაჯერებლობით დაგვანახვა, რომ ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტი დაიდო და ატლანტიკის ბლოკი შეიქმნა სახელმწიფოთა ვიწრო ჯგუფის ინტერესებისათვის ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მეთაურობით, რათა თავიანთი აგრესიული მისწრაფების განხორციელებისათვის ასე თუ ისე შეეგუებინათ სხვა სახელმწიფოების მათ დამყოლ ან მათზე პირდაპირ დამოკიდებულ მთავრობათა პოლიტიკა.

უკვე მაშინ სავსებით ცხადი იყო, ხოლო შემდგომმა ამბებმა ეს სავსებით დაადასტურა, რომ დასავლეთის კავშირი ევროპაში და სახელმწიფოთა საამერიკათაშორისო დაჯგუფება, ისევე როგორც ხმელთაშუა ზღვის სახელმწიფოების, სკანდინავიის ქვეყნების, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების პაქტები და სხვა მსგავსი პაქტები, რომლებიც უკვე მაშინ მზადდებოდა, მჭიდროდ არიან დაკავშირებული ატლანტიკის ბლოკის მიზნების განხორციელებასთან, რომელიც ისწრაფვის განახორციელოს დასავლეთ ევროპაში, ჩრდილოეთ ატლანტიკაში, სამხრეთ ამერიკაში, ხმელთაშუა ზღვაში, აზიაში, აფრიკაში—ყველგან, როგორც აღნიშნული იყო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხსენებულ განცხადებაში, სადაც კი მისწვდება ამერიკის მონოპოლიების ხელი, ბატონობის დამყარების ინგლის-ამერიკის გეგმები.

დღევანდელმა ამბებმა ეს ერთხელ კიდევ და კიდევ დაადასტურა და გვიჩვენა, თუ რა სურვილები აქვს ატლანტიკის ბლოკის და, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებულ შტატებს, ინგლისსა და საფრანგეთს, მაგალითად, უწინარეს ყოვლისა, შორეული, შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების მიმართ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპები და მიზნები ჩვენგან რაიმე ახსნა-განმარტებას არ მოითხოვენ — ისინი მკაფიოდ გამოთქმულია 1945 წლის ივნისში სან-ფრანცისკოში ხელმოწერილ წესდებაში. მაგრამ საკმარისია მხოლოდ შევადაროთ გაეროთაანებული ერების ორგანიზაციის ეს მიზნები და ამოცანები, როგორც ისინი გამოთქმულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში, ატლანტიკის ბლოკის საქმიანობას, უწინარეს ყოვლისა საქმიანობას, მის საიდუმლო და გამომჟღავნებულ გეგმებსაც კი, რათა დავრწმუნდეთ, რომ აგრესიულ ატლანტიკის ბლოკში მონაწილეობა სრულიად შეუთავსებელია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრობასთან. საკმაოდ ნათელია, რომ სწორედ ასევე სრულიად შეუთავსებელია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრობასთან ზოგიერთი სახელმწიფოს და უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატების მიერ სამხედრო, სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ბაზების შექმნა სხვის ტერიტორიებზე.

სრულიად უდავო უნდა იყოს, რომ ატლანტიკის ბლოკის ქვეყნების და უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა, რომელიც დაკავშირებულია გამალებულ შეიარაღებასთან, ატომური ბომბების, აგრესიის ამ იარაღის, ადამიანთა მასობრივი მოსპობის ამ მხეცური იარაღის დაგროვებასთან, სრულიად ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ისეთ მიზნებს, როგორიც არის საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნება, როგორიც არის ერებს შორის მეგობრული ურთიერთობის განვითარება, როგორიც არის საერთაშორისო თანამშრომლობის განხორციელება ეკონომიური, სოციალური, კულტურული და ჰუმანიტარული ხასიათის საერთაშორისო პრობლემების გადაჭრაში.

სრულიად უდავო უნდა იყოს, რომ, სანამ კორეაში წარმოებს ომი, რომელიც თავს მოახვიეს კორეელ ხალხს, შეუძლებელია რაიმე ღონისძიებანი ახალი მსოფლიო ომის საფრთხის წინააღმდეგ. ცხადი უნდა იყოს, რომ კორეაში საომარი მოქმედების უსწრაფესი შეწყვეტა წარმოადგენს ასეთი საფრთხის თავიდან აცილების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას, ისევე როგორც ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას.

სასაკილო და ცინიკურია ლაპარაკობდე ხალხთა მეგობრობის განმტკიცებისა და მშვიდობის განმტკიცების სურვილებზე და არაფერს აკეთებდე, თითსაც არ ანძრევდე, რომ ხელი შეუწყო საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ პანმინჯონში საბავო მოლაპარაკების რაც შეიძლება სწრაფად დამთავრებას. ჩვენ მოვითხოვთ დახმარება გაეწიოს ამ მნიშვნელოვან საქმეს; ამერიკის შეერთებული შტატები და მთელი ატლანტიკის ბლოკი ამას უარყოფენ და ამავე დროს ლაყბობენ მშვიდობაზე და კორეის საკითხის მშვიდობიან მოწესრიგებაზე! თუმცაღა, ახლა აღარც ლაყბობენ ამ თემაზე და ლაპარაკობენ უფრო საქმის სამხედრო მხარეზე, იმაზე, რომ საკითხი თვით ომმა უნდა გადაწყვიტოს! თავს ისე გვაჩვენებენ, თითქოს მათთვის გაუგებარია უბრალო რამ — გაუგებარია, რომ ახალი ომის საფრთხის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ბოლო მოეღოს დამპყრობლურ პოლიტიკას, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები ახორციელებენ კორეის მიმართ, რომელიც უკვე გადაქცეულია ომის ასპარეზად. ამ ომში ამერიკელ დამპყრობთა მიერ დასახული მიზნებს საერთო არა აქვთ რა კორეის გაერთიანებისა და აღდგენის, კორეის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის მათ მიერ გამოცხადებულ პროგრამასთან.

ჩვენ გვახსოვს, რომ ჯერ კიდევ 1947 წელს კორეა ინახულა სპეციალურმა კომისიამ ჩინეთში ამერიკის ჯარების ყოფილი სარდლის გენერალ ვედემეიერის მეთაურობით, და პრეზიდენტ ტრუმენს წარუდგინა რეკომენდაციები, რომელთა არსიც ის არის, რომ კორეა გადააქციონ ბუფერულ სახელმწიფოდ. ეს გენერალი უკვე იმ დროს დაეინებით მოითხოვდა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს მიეღწიათ „კორეის მუდმივი სამხედრო ნეიტრალიზაციისათვის" მისი ოკუპაციის გზით. ამასთან ვედემეიერი ამტკიცებდა, რომ „სტრატეგიული თვალსაზრისით შეერთებული შტატები სერიოზულად არიან დაინტერესებული კორეის მუდმივი სამხედრო ნეიტრალიზაციის უზრუნველყოფით".

ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური თეზისი კორეის მიმართ, რაც ჯერ კიდევ 1947 წელს წამოაყენა ვედემეიერმა, ამ დღეებში კვლავ გაიმეორა თავის სტატიაში ცნობილმა ამერიკელმა პოლიტიკურმა კომენტატორმა ლიპმანმა, რომელიც ამა წლის 3 იანვარს, სულ ამ რამდენიმე დღის წინათ, გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნში" სიტყვასიტყვით შემდეგს წერდა: „ის, რასაც ჩვენ ვესწრაფვით კორეაში, — არის არა მარტო ვიწრო ზონა ორ არმიას შორის ბრძოლის ველზე, **არამედ მთელი კორეის ნახევარკუნძულის აღიარება ბუფერად დიდ სახელმწიფოთა შორის".**

საინტერესოა ვიცოდეთ, რა წრეებს მიერ არის ინსპირირებული ლიპმანის ეს სტატია? ვის აზრს გამოხატავს ეს აგრესიული კომენტატორი, რომელიც მოითხოვს კორეის მთელი ნახევარკუნძული გადაქცეულ იქნას ბუფერად ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით და რომელმაც გაიხსენა ჩინეთში ამერიკის ჯარების ყოფილი სარდლის გენერალ ვედემეიერის თეზისი, რომელმაც ეს თეზისი წამოაყენა როგორც ამერიკის შეერთებული შტატების პრინციპული პოზიცია კორეის საკითხის „მოწესრიგებაში". ლიპმანის, ამერიკის აგრესიული წრეების ამ პორტ-პაროლის სტატია შემთხვევითი როდია. იგი, ალბათ, განკუთვნილია იმისათვის, რომ მომზადდეს ამერიკის საზოგადოებრივი აზრი ახალი ზეგავლენისათვის მეორე მხარეზე პანმინჯონში მოლაპარაკების დროს, რათა შემდგომშიც გაადვილოს ამერიკელ რეაქციონერთა შოვინისტური, მილიტარისტული მისწრაფებანი.

ასეთი სტატიები, რა თქმა უნდა, შეიძლება შეფასებულ იქნას მხოლოდ და მხოლოდ როგორც მისწრაფება იმისადმი, რომ პრესა გამოიყენონ კორეაში მოლაპარაკების ჩასაშლელად, როგორც კორეაში ომის განგრძობის პროპაგანდა, ამერიკელი გენერლების წაქეზება ჯიუტობისა და დაუთმობლობისაკენ. აი ნამდვილად რა აყენებს ზიანს ყოველივე ცდას, რომ წარმატებით დამთავრდეს მოლაპარაკება კორეაში საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ!

დელეგატები, უმთავრესად ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის დელეგატები, ეხებოდნენ რა კორეის საკითხს, ცდილობდნენ აქ ემტკიცებინათ, რომ საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ პანმინჯონის მოლაპარაკებაში არის პროგრესი, თუმცა ნელი პროგრესი, როგორც ისინი ამბობდნენ. ნამდვილად ამ მოლაპარაკებაში არავითარი პროგრესი არ არის. მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირის ინიციატივით ეს მოლაპარაკება დაიწყო, უკვე 6 თვეზე მეტი გავიდა. კორეის სახალხო არმიისა და ჩინელ მოხალისეთა საომარი ძალების წარმომადგენლებმა წამოაყენეს მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი წინადადებანი, რომელთა მიღებაც უზრუნველყოფდა კორეაში ცეცხლის შეწყვეტასა და მშვიდობის დამყარებას. ეს წინადადებანი ითვალისწინებდნენ, რომ კორეაში სისხლისღვრისა და ნგრევის შეწყვეტისათვის პირველი ნაბიჯის სახით მეომარ მხარეთა საომარ ძალებს გაეცა ბრძანება საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ, ისე რომ თვითეული მხარის სახმელეთო ჯარებს, ფლოტსა და ავიაციას შეეწყვიტათ დაბომბვა, ბლოკადა და დაზვერვითი მოქმედება მეორე მხარის მიმართ. წინადადების თანახმად ორივე მხარის მიერ ევაკუირებული რაიონები უნდა გამოცხადებულიყო დემილიტარიზებულ ზონად, რომელშიც არც ერთ მხარეს არ უნდა განლაგებინა თავისი შეიარაღებული ძალები და არ ეწარმოებინა რაიმე საომარი მოქმედება. დასასრულ, კორეაში ომის შეწყვეტისა და კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების უზრუნველსაყოფად მთელი უცხოელთა ჯარები უმოკლეს ვადაში უნდა გაეყვანათ კორეიდან.

ეს წინადადება ამერიკელთა სარდლობის ჯიუტ წინააღმდეგობას წააწყდა. ჩვენ ყველას გვახსოვს, რომ საბჭოთა განცხადებაში, რომლითაც დასაწყისი მიეცა კესონის მოლაპარაკებას, აღნიშნული იყო: „როგორც პირველი ნაბიჯი, საჭიროა დაიწყოს მოლაპარაკება მეომარ მხარეებს შორის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, დაზავებისა და 38-ე პარალელიდან ჯარების უკან დაწევის შესახებ". მაგრამ ამერიკის წარმომადგენლებმა დაიწყეს მოლაპარაკება იმის წინააღმდეგ გაფაფშერებით, რომ 38-ე პარალელი მიჩნეული ყოფილიყო სადემარკაციო ხაზად დაზავებისათვის. ეს გალაშქრება აშკარა გადახვევა იყო იმ საფუძვლიდან, რომელზეც მოლაპარაკება დაიწყო. წინადადებას იძლეოდა რა სადემარკაციო ხაზი დაწესებულიყო 38-ე პარალელის გაკილებით უფრო ჩრდილოეთით, ხოლო მთელ რიგ ადგილებში ფრონტის იმ ხაზის ჩრდილოეთითაც კი, რომელიც კორეის სახალხო არმიის ჯარებს ეკავათ, ამერიკის სარდლობა ამნაირად ცდილობდა. ჩრდილოეთ კორეისათვის ჩამოეშორებინა მისი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი (13.000 კვადრატულ კილომეტრზე მეტი).

ზემოქმედებისა და ზეგავლენის მოსახდენად ამერიკის სარდლობამ გააძლიერა ჩრდილოეთ კორეის ტერიტორიისა და მისი მშვიდობიანი ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების ბარბაროსული დაბომბვა და დაიწყო პროვოკაციების მთელი სერია კესონის ნეიტრალური ზონის მიმართ, რომელსაც მუდამ უშენდნენ ჰაერიდან და რომელშიც იჭრებოდნენ ამერიკის სარდლობისადმი დაქვემდებარებული სამხრეთ კორეის ჯარების შეიარაღებული რაზმები.

წინადადებას საომარი მოქმედების დაუყოვნებლივ შეწყვეტის შესახებ ამერიკელთა სარდლობა ყოველთვის უარყოფს. აღნიშნავენ, მათ შორის ამერიკული პრესაც, რომ ჩრდილოეთ კორეის ტერიტორიის ის ნაწილი, რომელიც ამერიკელებს აინტერესებთ, მდიდარია ვოლფრამის საბადოებით, რასაც ინტენსიურად ამუშავებენ ამერიკელი მონოპოლისტები. მნიშვნელოვანწილად სწორედ ეს უშლის ხელს კორეაში დაზავების შესახებ შეთანხმების მიღწევას. არ ვიცი, რამდენად ზუსტია ეს, მაგრამ ამერიკულ პრესაში გამოქვეყნდა ცნობები, რომ იმ რაიონში, რომელსაც განსაკუთრებით მოითხოვენ ამერიკის შეერთებული შტატები, ენერგიულად მოქმედებს ფირმა, რომლის ერთ-ერთი მთავარი აქციონერია ცნობილი ჯონ ფოსტერ დალესი.

აი ეს უკანასკნელი გარემოება — ვოლფრამი მნიშვნელოვანწილად უშლის ხელს იმას, რომ მიღწეულ იქნას შეთანხმება კორეაში დაზავების შესახებ. ეს საკვირველიც არ არის, რადგან ზოგ შემთხვევაში ვოლფრამი უშლის ხელს კორეაში დაზავების შესახებ შეთანხმების მიღწევას, ზოგ შემთხვევაში კი ნავთი ქმნის სიტუაციას, რომელიც ურთიერთობის სერიოზულ გამწვავებას იწვევს ირანში.

პანმინჯონის მოლაპარაკებაში, როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ მოუწესრიგებელია მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები. სამხედრო ტყვეების გაცვლის საკითხზე მოლაპარაკება ჩიხში მოიმწყვდა, რადგან ამერიკის სარდლობამ წარმოადგინა საერთაშორისო სამართლის ელემენტარული პრინციპების საწინააღმდეგო სრულიად უაზრო მოთხოვნა სამხედრო ტყვეების ერთში ერთის გაცვლის შესახებ, მაშინ როცა კორეა-ჩინეთის მხარე სამართლიანად და საერთაშორისო სამართლის პრინციპების თანახმად მოითხოვს, რომ სამხედრო ტყვეების გაცვლა მოხდეს ყველაში ყველას გაცვლის პირობით.

შეთანხმება მიღწეული არ არის კორეა-ჩინეთის მხარის მიერ აეროდრომების მშენებლობის საკითხზეც. ამერიკის სარდლობა აქაც ცდილობს უსამართლო პირობები მოახვიოს თავს კორეა-ჩინეთის მხარეს. როგორც ცნობილია, ამერიკის სარდლობა დაჟინებით მოითხოვს, რომ კორეა-ჩინეთის მხარემ არ აიშენოს და არ შეაკეთოს აეროდრომები და აეროდრომის ნაგებობანი თავის ტერიტორიაზე, გარდა აეროდრომთა განსაზღვრული რიცხვისა, რომლებიც ჩრდილოეთ კორეის ტერიტორიაზე გამოყოფილი იქნება მხოლოდ და მხოლოდ სამოქალაქო მიზნებისათვის გამოსაყენებლად. ამერიკის სარდლობა მოითხოვს არ შეაკეთონ აეროდრომები, რომლებსაც ამერიკის თვითმფრინავები ანგრევენ დაბომბვით. ამერიკის სარდლობა კვლავ ბომბავს კორეის ტერიტორიას. ამ შემთხვევაში როგორღა შეიძლება აიკრძალოს იმ აეროდრომების შეკეთება, რომლებსაც ამერიკელები ანგრევენ და რომლებიც საჭირო ამ დაბომბვის წინააღმდეგ საბრძოლველად?

ერთი მხრივ უარყოფენ წინადადებას საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ, ხოლო მეორე მხრივ ამბობენ, „იმის შეკეთება კი, რასაც ჩვენ თქვენში ვანგრევთ (ეს შეეხება აეროდრომებს), არ გაბედოთო".

ეს რაღაც სავსებით უაზრო მოთხოვნებია, ეს საკითხის სავსებით უაზრო დაყენებაა.

შეთანხმება მიღწეული არ არის აგრეთვე იმის შესახებ, რომ მოწვეულ იქნას მხარეთა პასუხისმგებელი წარმომადგენლების კონფერენცია კორეიდან მთელი უცხოელთა ჯარების გამოყვანის საკითხის გადასაწყვეტად და კორეის გაერთიანებასთან დაკავშირებული საკითხების გადასაწყვეტად.

საკვირველი არაფერია იმაში, რომ ჩვენ აქაც წავაწყდით ამერიკის, ინგლისისა და ზოგიერთი სხვა დელეგაციის წარმომადგენელთა გალაშქრებას იმის წინააღმდეგ, რომ კომიტეტში განხილულ იქნას კორეის გაერთიანების საკითხი. ცნობილია, რომ კორეის აღდგენის საკითხი მოიხსნა ამ საბაბით სინე დიე, როგორც აღნიშნა ამ შემთხვევისათვის ბ-ნმა ელ-ჰურიმ, რითაც, ასე ვთქვათ, მოულოდნელად სამსახური გაუწია ამ დელეგაციებს. რაღა საკვირველია, რომ კორეაში შეთანხმებისათვის ვერ მიიღწევიათ ელემენტარულ, მე ვიტყოდი, ჰუმანიტარულ საკითხებზე, როცა აქ ასე მტრულად ხვდებიან ყველაზე ჰუმან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესია

ახალი მსოფლიო ომის საფრთხის საწინააღმდეგო და ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ

ა. ი. ვიშინსკის სიტყვა პოლიტიკურ კომიტეტში 1952 წლის 12 იანვარს

ბა, მან პირველ რიგში უნდა განიხილოს კორეაში საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ მოლაპარაკების წარმატებით დამთავრებისათვის ხელის შეწყობის საკითხი.

მე დღემდე ვერ გამიგია ის ლოგიკა, რომ ერთი მხრივ ფიცით გვიმტკიცებენ, მშვიდობას ვესწრაფვით, ომი გეძულსო, ხოლო მეორე მხრივ ასე იოლად, მე ვიტყოდი, უგუნურად უარყოფენ ნამდვილად ჰუმანიურ, ნამდვილად ადამიანურ წინადადებას: რჩევა მიეცეს უშიშროების საბჭოს ხელი შეუწყოს კორეაში მუმარ მხარეებს, რომ ისინი შეთანხმდნენ ამ საომარი მოქმედების რაც შეიძლება მალე შეწყვეტაზე იმ მოლაპარაკების შედეგად, რომელიც იქ ამჟამად წარმოებს.

ვსარგებლობ რა შემთხვევით, უნდა ვთქვა, რომ ახლა ჩვენს წინადადებაში ვტოვებთ ამ პუნქტს კორეის შესახებ და მიგვაჩნია, რომ ჩვენი ვალი იქნება მაინც ერთხელ კიდევ დავფიქრდეთ, რომ საჭიროა ნამდვილად ყურადღიოლთ არა მარტო საბჭოთა კავშირის ხმა, არა მარტო ხმა ჩვენი დელეგაციისა, რომელიც წარმოადგენს ჩვენს დიდ სახელმწიფოს, ჩვენს დიდ ხალხს, არამედ იმ 596 მილიონი ადამიანის ხმა, რომლებმაც ხელი მოაწერეს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს უკანასკნელ მოწოდებას და რომლებიც მოითხოვენ იმას, რასაც ჩვენ აქ ვიცავთ ასეთი სიმტკიცით, ენერგიითა და ჩვენი საქმის სრული სიმართლის რწმენით. ახლა ხომ საქმე ის არის, რომ ჩავაქროთ ომის ცეცხლი კორეაში.

ჩვენ გვეუბნებიან: „ეს თქვენი პროპაგანდაა, ეს თქვენი სიტყვებია, საქმე გვიჩვენეთო“. და აი ჩვენ სწორედ გვსურს საქმე გიჩვენოთ. ჩვენ მოგიწოდებთ ვიაროთ ერთად იმ გზით, რომლითაც ნამდვილად შეიძლება მივაღწიოთ ომის შეწყვეტას. მაგრამ თქვენ ამას უარყოფთ.

თქვენ დემაგოგიურად ამბობთ: „ერთი სიტყვა თქვით და კორეელები ომს შეწყვეტენო“. მაგრამ თქვენ ხომ თვითონვე გესმით, რომ ეს სრულიადაც არ შეესაბამება სინამდვილეს, რადგან გაცილებით უფრო მეტი საფუძვლით შეგვიძლია გითხრათ თქვენ: „რიგუეემ ერთი სიტყვა უთხრას, მხოლოდ უბრძანოს თავის ჯარისკაცებს, რომლებიც მას ემორჩილებიან, — და ომი შეწყდება“.

და აი მოვითხოვთ დღევანდელი დღის წესრიგის ჩვენი მე-6 პუნქტის მიხედვით, ახალი ომის საფრთხის საწინააღმდეგო და ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ პუნქტის მიხედვით ერთხელ კიდევ განიხილეთ ეს საკითხიც!

შეუძლიათ გვითხრან: „ჩვენ მხოლოდ გუშინწინ უარყოფით წინადადება ამ საკითხის განხილვის შესახებ. კიდევ რაღათ გვახვევთ თავს ამ საკითხსო?“

დიახ, გახვევთ თავს, და მეტად უბრალო მიზეზით, თქვენ უნდა იცოდეთ ეს. ამას იმიტომ და იმისათვის ვშვრებით, რომ მშვიდობა გვსურს, იმიტომ და იმისათვის, რომ არ ატყდეს ახალი მსოფლიო ომი, ბოლოს, იმიტომ, რომ ჩვენ ვიცით, მშვიდობის ადამიანები უნდა ცდილობდნენ კი არ გაჩაღონ და გაავივონ ომის ცეცხლი, არამედ ჩააქრონ ომის ყოველი ხანძარი, მსოფლიოს რა ნაწილშიც უნდა გაჩნდეს იგი.

აი ამიტომ ჩვენ მართლაც მტკიცედ მოვითხოვთ, რომ კომიტეტი დაუბრუნდეს ამ საკითხის განხილვას, ისარგებლოს იმ შემთხვევით, რომ იგი მეორე პუნქტად არის შეტანილი ჩვენი რეზოლუციის პროექტში, რომელიც აქ შემოგვაქვს კომიტეტის განსახილველად.

თუ ჩვენ მართალი არა ვართ თქვენი იმ განზრახვებისა და მისწრაფებების გაკრიტიკებაში, რომლებსაც ჩვენ ვახასიათებთ როგორც საომარ, აგრესიულ მისწრაფებებს, დაგვიმტკიცეთ ეს საქმით, — და მე არ მოვერიდები უკან წავიღო ჩვენი მტკიცებანი. გვიჩვენეთ საქმით, რომ თქვენ არა გსურთ კორეაში ომის განგრძობა, რომ თქვენ ნამდვილად გვიწვდით ხელს, რის შესახებაც თქვენ ლაპარაკობდით, მაგრამ ბატონსან ხელს, მშვიდობისა და მეგობრობის ხელს და არა აგრესიისა და ომის ხელს. ჩვენ ვიცით, რომ როცა შეიარაღებულ ხელს გიწვდიან, არ შეიძლება იარაღი გაუშვა საკუთარი ხელიდან.

ბოლოს და ბოლოს გაიგეთ, ბატონებო, რომ თუ უაღრესად სწრაფად არ მოწესრიგდა კორეის ომის პრობლემა, ისე ამაოა ვიმსჯელოთ კოლექტიურ ღონისძიებათა თქვენს პროგრამაზეც და შეიარაღების შემცირების, შეიარაღების დაბალანსებული შემცირების თქვენს პროგრამაზეც,—ამაოა, იმიტომ რომ ეს პროგრამები დარჩება თქვენს არქივში, სწორედ ისევე, როგორც არქივში დევს ერთ-ერთი თქვენი დადგენილება და არა მარტო დადგენილება, არამედ თვით კომიტეტიც, რომელიც თქვენ შექმენით „სასესიათაშორისო კომიტეტის“ სახელწოდებით. თქვენ მას უწოდეთ „მცირე ასამბლეა“, რომელიც უნდა ყოფილიყო უმოქმედო. უშიშროების საბჭოს რაღაც მხსნელი რაზმი. მაგრამ სად არის... ეს სასესიათაშორისო კომიტეტი? სად არის იგი?

ორი წელია იგი არაფერს არ აკეთებს. მასზე არაფერი ისმის. იგი არც კი აგონდება ვისმე. ესეც თქვენი „მცირე ასამბლეა“! ეს მიცვალებულთა ასამბლეაა! და არა მცირე, არამედ დიდი ასამბლეა მცირე მიცვალებულებისა. აი რა არის თქვენი სასესიათაშორისო კომიტეტი! ხოლო რეზოლუცია ამ საკითხზე არის. თქვენ მაშინ შეიმობდით. თქვენ ჩვენც კი გვიწვევდით ამ კომიტეტში, ადგილიც კი დაგვიტოვეთ კომიტეტში იმ იმედით, როგორც თქვენ მაშინ ამბობდით, რომ ჩვენ შემდეგ შევიგნებდით ამ კომიტეტის მნიშვნელობას და მივიღებდით მასში მონაწილეობას. სწორედ ისევე, როგორც დღეს, მაგალითად, ასამბლეაზე ამბობდა ბ-ნი კოენი, იმედი გვაქვს საბჭოთა კავშირი ბოლის და ბოლოს შეიგნებს, თუ რა სიკეთეს წარმოადგენს ეგრეთწოდებული „კოლექტიური ღონისძიებანი“ და დაეთანხმება ამ ღონისძიებებსო! ამაო მოლოდინია! ჩვენ არ შევედით და ვერც შევალთ ამ სასესიათაშორისო კომიტეტში, იმიტომ რომ იგი მკვდარია, იქ სიკვდილის სუნი დგას, მას გახრწნის სუნი სდის. თქვენი ეს კომიტეტი იხრწნება. დაე გაიხრწნას. იგი არავის არ ესაჭიროება.

მაგრამ ამ საკითხზე არის რეზოლუცია, რომელსაც თქვენ ასეთ იმედებს ამყარებდით.

ნება მიბოძეთ გამოვთქვა ჩვენი ღრმა რწმენა, იმიტომ კი არა, რომ ძალა გასწავლოთ, — ამის იმედი ჩვენ არა გვაქვს, არამედ გამოვთქვათ ჩვენი ღრმა რწმენა, რომ თქვენი რეზოლუციები, რომლებიც უკვე მიიღეთ ამ სესიაზე ეგრეთწოდებული შეიარაღების შემცირებისა და ეგრეთწოდებულ „კოლექტიურ ღონისძიებათა“ შესახებ, — ეს მკვდრადშობილი ბავშვია. ის კი, რასაც ჩვენ გთავაზობთ—ცოცხალი საქმეა. ეს საქმე — კორეაში საომარი მოქმედების რაც შეიძლება მალე შეწყვეტისათვის ხელის შეწყობა — **ცოცხალი საქმეა**, და ამიტომ ჩვენ მოვალენი ვართ დაევხმაროთ ამ საქმეს, თუ არ გვსურს საბოლოოდ გადავიქცეთ სახელმწიფოთა რომელიმე ჯგუფის აგრესიული პოლიტიკის ინსტრუმენტად, იარაღად.

კორეის საკითხის მოუწესრიგებლად ძნელია ვიქონიოთ საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის შესუსტების იმედი. ამიტომ კორეის საკითხის გადაჭრა აუცილებლად საჭიროა, და კორეაში საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ მოლაპარაკების წარმატებით დამთავრებისათვის ხელის შეწყობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პირველი და უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა.

* * *

ჩვენ ზემოთ უკვე ვილაპარაკეთ იმ გავლენაზე, რასაც საერთაშორისო მდგომარეობაზე ახდენს გამალებული შეიარაღება, ატლანტიკის ბლოკის ქვეყნების მიერ და, პირველ რიგში, ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ახალი სამხედრო, სამხედრო-საჰაერო, სამხედრო-საზღვაო ბაზების გაფართოება და მოწყობა.

საიდუმლოება როდია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ბაზები არის და კვლავ შენდება დასავლეთ და სამხრეთ ევროპაში, ჩრდილოეთ აფრიკაში, მცირე აზიაში, სულ 19 ქვეყანაში. ეს ქვეყნებია: ნორვეგია, დანია, ჰოლანდია, დასავლეთ გერმანია, ლუქსემბურგი, ბელგია, ინგლისი, საფრანგეთი, ესპანეთი, იტალია, საფრანგეთის მაროკო, ალჟირი, ტუნისი, ლიბია, კუნძული მალტა, სპარძნეთი, კუნძული კვიპროსი, თურქეთი, ეგვიპტე.

ამას უნდა დაემატოს ამერიკის ბაზები შორეულ აღმოსავლეთსა და აზიაში, კერძოდ, იაპონიაში, კორეაში, ტაივანზე და მთელ რიგ სხვა პუნქტებში.

ამერიკის შეერთებული შტატების ფარგლებს გარეთ სამხედრო ბაზების მშენებლობისათვის 1951 წლის 28 სექტემბრის № 155 კანონით ასიგნებულია 2 მილიარდ 167 მილიონ დოლარზე მეტი. როგორც იუნაიტედ პრესი 1951 წლის 1 ნოემბერს იუწყებოდა, მთელი ასიგნობანი მეტწილად განკუთვნილია მთელ მსოფლიოში ახალი სამხედრო ბაზების შექმნისა და არსებული ბაზების გაფართოებისათვის, აქედან დაახლოებით 1 მილიარდი მოხმარდება „საბჭოთა კავშირთან ადვილად დასაძლევ მანძილზე საიდუმლო აეროდრომების რკალის“ შექმნას.

უცხო სახელმწიფოთა ტერიტორიებზე სამხედრო ბაზების მშენებლობა ფინანსდება აგრეთვე იმ თანხებით, რომლებიც გათვალისწინებულია სამხედრო, ტექნიკური და ეკონომიური ეგრეთწოდებული „დახმარებისათვის“, რაც შეადგენს 7 მილიარდ 329 მილიონ დოლარს.

როგორც ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროს განყოფილების უფროსმა ო'ხარამ განმარტა, „როცა ბაზები განკუთვნილია ამერიკის შეიარაღებული ძალებისათვის, რომლებიც მხარს უჭერენ ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტის ორგანიზაციის ჯარებს, ისინი შეაქვთ ინფრასტრუქტურის პროგრამაში“. ატლანტიკის ბლოკის ხელმძღვანელთა ახალი ჟარგონით „ინფრასტრუქტურა“ ნიშნავს ბაზების სისტემას დასავლეთ ევროპაში, რომლებიც იქმნება ამ ბლოკის ყველა მონაწილის გაერთიანებული ღონისძიებებით.

ამრიგად, სხვა ქვეყნებისადმი „დახმარების“ სახით ამერიკის შეერთებული შტატები აშენებენ და აფართოებენ თავიანთ საკუთარ ბაზებს. ეს ამკარად განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროს სამხედრო დახმარების განყოფილების უფროსმა ბრიგადის გენერალმა ოლმსტიდმა ქვეკომისიის 27 სექტემბრის სხდომაზე, როცა აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები „ინფრასტრუქტურის“ მშენებლობის ხარჯების თავიანთ წილს შეიტანენ როგორც სხვა ქვეყნებისადმი სამხედრო ან ეკონომიურ დახმარებას.

შეერთებულმა შტატებმა დაგეგმეს 1952 წელს ევროპაში ბაზების მშენებლობაზე დახარჯონ დაახლოებით ნახევარი მილიარდი დოლარი. აქ შედის ბაზები თურქეთში, საფრანგეთში, საფრანგეთის მაროკოში.

მაგრამ განზრახულია ბაზები აშენდეს კიდევ ოკუპირებული ქვეყნების საოკუპაციო ხარჯების გადახდის ანგარიშში. წარმომადგენელთა პალატის წევრმა სკრივნერმა 10 ოქტომბერს კონგრესში, ლაპარაკობდა რა ბაზების შესახებ, აღნიშნა, რომ „იაპონელები საოკუპაციო ხარჯების ნაწილის სახით იხდიდნენ ამ ნაგებობათა შენახვის, მშენებლობისა და გამოყენების ღირებულების ნაწილს“ (იხ. „კონგრეშნლ რეკორდი“, 1951 წლის 10 ოქტომბერი).

ეგრეთწოდებული დასავლეთის კავშირის პროგრამით ბაზების მშენებლობამ უკვე შეადგინა 1951 წელს დაახლოებით 100 მილიონი დოლარი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის როლი, რომელიც ამ გეგმაში მიკუთვნებული აქვთ ინგლისსა და ბრიტანეთის კუნძულებს. როგორც პრესა იუწყება, ინგლისსა და ამერიკის შეერთებული შტატების შეთანხმებით, ბრიტანეთის კუნძულები გადაიქცევა ვეებერთელა ავიოსნად რეაქტიული ბომბდამშენებისათვის, რომლებიც იფრენენ სტრატოსფეროში და ომის შემთხვევაში შეძლებენ ატომური ბომბები **მიიტანონ** საბჭოთა კავშირის შუაგულში. იუნაიტედ პრესის სააგენტოს ამ ცნობაში სიტყვა „მიიტანონ“ განკუთვნილია იმისათვის, რომ დაფაროს ცინიკური აღიარება, რომ განზრახულია ეს ბომბები დანიშნულ ადგილას **ჩამოყარონ.**

უკვე ახლა ინგლისში იმყოფება ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების 20 ათასამდე ოფიცერი და ჯარისკაცი, რომლებიც მომსახურებას უწევენ ბომბდამშენებისა და ავიაგამანადგურებლების ამჟამად მოქმედ 6 ბაზას. შენდება 4 ახალი ბაზა და მოლაპარაკება წარმოებს, რომ ინგლისის სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზები გადაეცეს ამერიკის შეერთებულ შტატებს.

როგორც ცნობილია, სულ ცოტა ხნის წინათ ინგლისის პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელიც ლეიბორისტულმა მთავრობამ გადადგა კონსერვატორთა მხარდაჭერით, იყო აღმოსავლეთ ინგლისში დიდი განუწყვეტლივ მზარდი სამხედრო-საჰაერო ბაზის შექმნა, რომლის დანიშნულებაა ატომური იარაღის გამოყენება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ჩერჩილმა ამასთან შენიშვნა გააკეთა საბჭოთა კავშირის აგრესიული ზრახვების შესახებ. ამ შენიშვნის დანიშნულება იყო მხოლოდ დაეფარა ასეთი ბაზების მოწყობის ნამდვილი მიზნები. გამალებით წარმოებს სამხედრო ნაგებობათა მშენებლობა იაპონიაში, ამასთან ეს მშენებლობა წარმოებს იაპონიის მთავრობისა და იაპონიის სამშენებლო კომპანიების ხარჯზე, რომლებიც ამერიკელ ჯარისკაცთა მეთვალყურეობით მუშაობენ. უკვე ახლა სასებოს ნავსადგური გადაქცეულია ძლიერ სამხედრო-საზღვაო ბაზად, კორეაში მოქმედი ამერიკის ჯარების თავმოყრისა და მომარაგების ცენტრად. ამერიკის შეერთებული შტატების მე-7 სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხომალდებისა და კორეის წყლებში მოქმედი მეტი წილი ამერიკული და უცხო ხომალდების ბაზა ამჟამად სასებოშია. ამერიკის სამხედრო-საზღვაო ფლოტი მთლიანად იყენებს აგრეთვე იაპონიის დიდ სამხედრო-საზღვაო ბაზას იოკოსუკას. სამხედრო მიზნებით გამოყენებულია კობეც, კერძოდ, მისი სასაწყობო შენობები ამერიკელებმა გამოიყენეს კორეაში გასაგზავნი სამხედრო ტვირთების მოსათავსებლად. წარმოებს სამხედრო ნაგებობათა ფართო მშენებლობა იაპონიის ნავსადგურებში ნიიგატაში, ფუსიკიში, ნანაოში, ურუგასა და მაიძურუში. მთელ სამუშაოებს ამერიკელი ოფიცრები და სამხედრო ინჟინრები ხელმძღვანელობენ.

როგორც პრესა იუწყება, ეგრეთწოდებულ „ადმინისტრაციულ შეთანხმებაში“ არის სპეციალური თავი სახელწოდებით „საერთო უფლებანი“, რომელიც შეიცავს სან-ფრანციასკოში სექტემბრის დამდეგს ხელმოწერილი ამერიკა-იაპონიის „უშიშროების პაქტის“ საიდუმლო მუხლებს. ეს საერთო უფლებანი იმ დამოუკიდებლობისა და იმ სუვერენიტეტისაგანაც კი აღარაფერს ტოვებენ, რომლებითაც დღემდე ასე შეზღუდულად სარგებლობდა იაპონია. სამაგიეროდ ისინი ფართო შესაძლებლობას ქმნიან და სავსებით უზრუნველყოფენ იაპონიაში ამერიკის სამხედრო ბაზების მშენებლობის, ამერიკის სამხედრო ხელისუფალთა სრულიად შეუზღუდავი შეხედულებისამებრ იაპონიის ხომალდებისა და ტრანსპორტის გამოყენების წარმატებას.

ჩვენ გვერდს ვერ ავუვლით ამ ფაქტებს, რადგან ყოველივე ეს ხდება საბჭოთა კავშირის მეზობლად, შორეულ აღმოსავლეთში ჩვენი მეგობრების მეზობლად. და არ შეიძლება, რომ ეს ჩვენ არ გვაინტერესებდეს. ჩვენ კი არ ვაშენებთ ამ ბაზებს, არამედ აშენებენ ამერიკელები იაპონელებთან ერთად, აქცევენ რა ამრიგად იაპონიას თავიანთ პლაცდარმად ან, როგორც ინგლისის შესახებ ინგლისის პრემიერმა თქვა, — „ავიოსნად“.

ეს შეუთავსებელია შეიარაღების შემცირების წინადადებებთან, მაგრამ იქ არაფერია ნათქვამი ბაზებზე. ჩვენ ახლა მოვითხოვთ ითქვას სამხედრო ბაზების შესახებ, კვლავ ვაყენებთ მთელი სიმტკიცით საკითხს იმის შესახებ, რომ ნამდვილად საჭიროა ვიაროთ შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების, სხვის ტერიტორიებზე სამხედრო ბაზების ლიკვიდაციის გზით, ურომლისოდაც, რასაკვირველია, ფიქრიც არ შეიძლება იმაზე, რომ რამდენადმე მაინც განვამტკიცოთ მშვიდობა და აღმოვფხვრათ ომის საფრთხე.

ამერიკის შეერთებული შტატები ხელიდან არ უშვებენ არც ერთ შემთხვევას, რომ საომარი მოქმედების მომზადების მიზნით, სხვა ქვეყნებზე თავდასხმის მიზნით გამოიყენონ ყოველი, თუნდაც უმნიშვნელო სახელმწიფო. დომინგოს რესპუბლიკაც კი შესაფერისი პარტნიორი აღმოჩნდა ამერიკის შეერთებული შტატებისათვის, რომლებმაც მასთან დადეს სპეციალური შეთანხმება, რომლითაც ამ რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოთავსდება ფლორიდის შტატში განლაგებული ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების პოლიგონის ნაწილი სამართავი აღუმბარეების გამოსაცდელად.

ასეთსავე მდგომარეობაში აღმოჩნდა დანია. გრენლანდიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ქალაქ ტულეს მახლობლად, შორს პოლარული წრის იქით ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ააგეს სამხედრო-საჰაერო ბაზა, რომელიც გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის“ ცნობით, „ევროპაში კომუნისტური აგრესიის შემაკავებელი ახალი მძლავრი საშუალება“ იქნება. ეს ისე უნდა გავიგოთ, რომ გრენლანდიის ბაზა პლაცდარმი იქნება სსრ კავშირსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებზე ატომური თავდასხმისათვის.

ეს წამოსცდა იმავე გაზეთ „ვაშინგტონ პოსტს“, რომლის 1951 წლის 13 ოქტომბრის ნომერში პირდაპირ ნათქვამია, რომ გრენლანდიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ამერიკელების მიერ საიდუმლოდ აგებული საჰაერო ბაზა აშენებულია იმისათვის, რომ ამ ბაზიდან „შეიძლებოდეს ატომური თავდასხმა რუსეთის ყოველი მთავარი ობიექტის წინააღმდეგ...“

ამაზე მეტი ცინიკური გულახდილობა, მგონია, შეუძლებელია!

ეს ფაქტები დამაჯერებლად მოწმობენ ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით ატლანტიკის ბლოკის ქვეყნების გამალებულ საქმიანობას, რომელიც მიმართულია ახალი ომის მომზადებისაკენ. ეს ფაქტები მოწმობენ, რომ საომარი მზადების მასშტაბი დღითიდღე სულ უფრო სერიოზულად იზრდება და სულ უფრო მეტად ამწვავებს საერთაშორისო ურთიერთობას, ანგარიშს არ უწევს იმას, თუ რა გავლენას მოახდენს ეს იმ ქვეყნების მოსახლეობის კეთილდღეობაზე, რომლებიც ჩაბმული არიან ან რომლებსაც აბამენ ასეთი აგრესიული პოლიტიკის ორბიტაში. ამისათვის პასუხისმგებლობა, რასაკვირველია, ეკისრებათ იმათ, ვინც ამ მდგომარეობას ამწვავებს გამალებული შეიარაღებით, სულ ახალი და ახალი ბაზების მოწყობით, უკვე არსებული სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ბაზების გაფართოებით და ამასთან საკვანძო ადგილებში, ცინიკური გულახდილობით აცხადებენ, რომ ამის მიზანია საბჭოთა კავშირსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებზე თავდასხმის მომზადება.

ამ აგრესიულ პოლიტიკას საბჭოთა კავშირი უპირისპირებს თავის სამშვიდობო პოლიტიკას.

ხუთი დიდი სახელმწიფოს შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების $^1/_3$-ით შემცირებასთან ერთად — ერთი წლის განმავლობაში ამ საკითხზე დადგენილების მიღების დღიდან — საჭიროა, რომ ყველა სახელმწიფომ წარმოადგინოს სრული ოფიციალური ცნობები სხვის ტერიტორიებზე თავისი სამხედრო ბაზების მდგომარეობის შესახებ, ისევე როგორც ცნობები თავისი შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების მდგომარეობის შესახებ, ატომური იარაღის შესახებ ცნობების ჩათვლით. ეს ორი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებაა, რომელთა განხორციელება აუცილებლად შეასუსტებდა დაძაბულობას საერთაშორისო ურთიერთობაში და ხელს შეუწყობდა ახალი მსოფლიო ომის საფრთხის თავიდან აცილებას, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებას.

რაც შეეხება უშიშროების საბჭოს 5 მუდმივი წევრის შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების $^1/_3$-ით შემცირების, ამის შესახებ უკვე გამოითქვა წინააღმდეგობა, რომლის აზრი ის არის, რომ ეს ღონისძიებანი არაფერს არ მოგვცემენ საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის შესუსტების თვალსაზრისით, რადგან ამ ღონისძიებათა განხორციელებისას რჩება სხვადასხვა სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალების იგივე პრიმპორციული თანაფარდობა, როგორიც მანამდე იყო. ამასთან იმოწმებენ იმასაც, რომ სსრ კავშირი ასეთი შემცირების შემდეგ მაინც დარჩება პრივილეგიურ მდგომარეობაში, შეინარჩუნებს თავის სამხედრო უპირატესობას სხვა ქვეყნებთან შედარებით.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ასეთი საწინააღმდეგო მოსაზრებანი კრიტიკას ვერ უძლებენ უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ მტკიცება სსრ კავშირის სამხედრო უპირატესობის შესახებ არაფერს არ ემყარება. უფრო მეტიც, შეიძლება ვამტკიცოთ, როგორც წინათ უკვე აღნიშნავდით, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ატლანტიკის ბლოკის სხვა ქვეყნებს გაცილებით მეტი შეიარაღებული ძალები ჰყავთ, ვიდრე საბჭოთა კავშირს. ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის შეიარაღებული ძალების რიცხვი უკვე ახლა რამდენჯერმე აღემატება მათ შეიარაღებულ ძალებს მეორე მსოფლიო ომის წინ, 1939 წელს, და ერთიორად და უფრო მეტად აღემატება საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების რიცხვს.

ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირში თავის დროზე დემობილიზებული იყო 33 საგასაწვევო ასაკი, რაც მობილიზაციის საქმის ყველა მცოდნე ადამიანისათვის თავისთავად საკმაოდ დამაჯერებელი დადასტურებაა ომის პერიოდთან შედარებით შეიარაღებული ძალების იმ ნამდვილი შემცირებისა, რომელიც სსრ კავშირში განხორციელდა.

ამასთანავე ყველასთვის ცნობილია, რომ 1951 წლის განმავლობაში ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალები 1 მილიონი კაცით და უფრო მეტად გადიდდა, რაც კონგრესისადმი თავის 1952 წლის 9 იანვრის წერილში დაადასტურა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ტრუმენმა.

უარყოფენ რა ჩვენს წინადადებას უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრის შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების $^1/_3$-ით შემცირების შესახებ, არა სურთ ანგარიში გაუწიონ იმას, რომ ასეთი შემცირების თვით ფაქტმა, გამალებული შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების სულ უფრო მზარდი რაოდენობის ფაქტების საწინააღმდეგოდ, არ შეიძლება უდიდესი მორალურ-პოლიტიკური გავლენა არ მოახდინოს საერთაშორისო ურთიერთობის ხასიათზე, განამტკიცებს რა ნდობასა და აღმოფხვრის რა უნდობლობასა და ეჭვიანობას.

რაც შეეხება თითქოს სამხედრო უთანაბრობასა და იმას, რომ საჭიროა ამასთან დაკავშირებული საშიში მდგომარეობის აღსაკვეთად დამყარდეს ეგრეთწოდებული „შეიარაღებული ძალების წონასწორობა“, ისტორიის ფაქტები იმის საკმაოდ დამაჯერებელ დასამტკიცებელ საბუთებს იძლევიან, რომ ასეთი მსჯელობა უსაფუძვლოა. ამას უნდა დაემატოს, რომ, ატლანტიკის ბლოკის ქვეყნების ყველა ავტორიტეტული ხელმძღვანელის განცხადებათა მიხედვით, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და მათი მოკავშირეების შეიარაღებული ძალები უკვე ამჟამად ისეთ ოდენობას აღწევს, რომელიც ყოველგვარ აზრს უკარგავს იმის მტკიცებას, რომ საჭიროა შეიარაღებული ძალები და შეიარაღება გადიდდეს იმ დონემდე, როცა შესაძლებელი გახდება თანაბარ პირობებში ელაპარაკონ სხვა სახელმწიფოებს შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირების განხორციელების შესახებ.

კონგრესისადმი იანვრის წერილში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ამტკიცებს, რომ ევროპაში ერთობლივი თავდაცვა რეალობა გახდა, რომ „თავისუფალმა ერებმა, როგორც ის ამბობს, შექმნეს ნამდვილად საბრძოლო ძალა“ და რომ ეს „ძალა უკვე რეალური დაბრკოლებაა იმისა, რომ მტრულმა ძალებმა რაიმე სახით სცადონ გავრცელდნენ ევროპის გზით ატლანტიკისაკენ“. ამისათვის უნდა მიექცეს პრეზიდენტს ყურადღება, რათა აეხსნა, თუ რატომ გაბედეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ინგლისსა და საფრანგეთთან ერთად ევროპული ასამბლეის მიმდინარე სესიაზე დაესვათ შეიარაღების შემცირების საკითხი, თუმცა, როგორც ვიცით, ნამდვილად ასეთი წინადადება შეიარაღების არავითარ შემცირებას არ იძლევა. ტრუმენმა ამერიკის ეს წინადადება „განიარაღების კონკრეტულ პრაქტიკულ წინადადებად“ გამოაცხადა.

თუ ამგვარად ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით დასავლეთის სამი სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილი წინადადებანი ნამდვილად ითვალისწინებენ რეალურ შემცირებას ან, როგორც ტრუმენი ამბობს, „განიარაღების კონკრეტულ პრაქტიკულ წინადადებას“, მაშასადამე „ძალთა წონასწორობის“ პრობლემას მნიშვნელობა აღარა აქვს და ამრიგად იხსნება მოსაზრებანი, რომლებსაც აყენებენ როგორც იმის დაბრკოლებას, რომ მიღებულ იქნას საბჭოთა კავშირის მიერ შემოტანილი წინადადება შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების $^1/_3$-ით შემცირების შესახებ, რომ მოწვეულ იქნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როგორც წევრების, ისე არაწევრების მსოფლიო კონფერენცია შეიარაღების შემცირების საკითხზე იმ მიზნებით, რომლებიც აღნიშნულია საბჭოთა კავშირის რეზოლუციის პროექტში, და იმ ვადაში, რომელიც გათვალისწინებულია საბჭოთა კავშირის წინადადებით.

მაშ რა მოხდა? თუ უკვე ამჟამად შექმნილია ისეთი ძალა, რომელიც ვინმეს ყოველგვარ შესაძლებლობას უსპობს გავრცელდეს მტრული მიზნებით ევროპის გზით ატლანტიკისაკენ, მაშასადამე, უკვე დამდგარა შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების ნამდვილი შემცირების დრო.

ამავე დროს ჩვენ გვეუბნებიან აღწერას დასჯერდითო და ასეთ აღწერას შეიარაღების შემცირებად ასაღებენ.

ამჟამად ჩვენ წინადადება შემოგვაქვს დაწესდეს სულ მოკლე ხანში და ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს 1952 წლის 15 ივლისისა. (ნაცვლად 1952 წლის 1 ივნისისა) მსოფლიო კონფერენციის მოწვევის ვადა.

ახალი ომის საფრთხის თავიდან აცილებისა და მშვიდობის განმტკიცების უმნიშვნელოვანეს გარანტიად ჩვენ წინათაც ვაყენებდით და ახლაც ვაყენებთ წინადადებას ხუთ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ. ამავე დროს წინადადება შემოგვაქვს, როგორც უკვე ვთქვი, მოწვეულ იქნას მსოფლიო კონფერენცია სულ მოკლე ხანში. ჩვენ გვეუბნებიან, თქვენ მიერ წარმოდგენილი ვადა რეალური არ არისო. ჩვენ მზადა ვართ ეს ვადა შევცვალოთ და 1952 წლის 1 ივნისის ნაცვლად ასეთი კონფერენცია მოვიწვიოთ 1952 წლის 15 ივლისს, რადგან მხედველობაში გვაქვს, რომ ეს ვადა საავსებით საკმარისი იქნება იმისათვის, რომ ნამდვილად მოვემზადოთ და ორგანიზებულად ჩავატაროთ ასეთი დიდმნიშვნელოვანი კონფერენცია. ჩვენს განკარგულებაში იქნება კიდევ იანვრის ნაწილი, თებერვალი, მარტი, აპრილი, მაისი, ივნისი და ნახევარი ივლისი — ექვსი თვე.

როგორც ახალი ომის საფრთხის თავიდან აცილების უმნიშვნელოვანეს გარანტიას, ჩვენ კვლავ მტკიცედ ვიცავთ ჩვენს წინადადებას ხუთ სახელმწიფოს — ამერიკის შეერთებულ შტატებს, დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთს, ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ. ის საწინააღმდეგო მოსაზრებანი, რომლებიც დღემდე ხუთი სახელმწიფოს მშვიდობის პაქტის წინააღმდეგ მოჰყავდათ, სერიოზულად არ შეიძლება ჩაითვალოს. მაგალითად, ამბობდნენ, რომ ასეთი პაქტი საჭირო არ არის, რადგან ასეთი ყოვლისმომცველი მშვიდობის პაქტი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება არისო. მაგრამ წესდებასთან ერთად არსებობს სხვა შეთანხმებანი, რომლებიც მიმართულია ახალი ომის საფრთხის თავიდან აცილებისაკენ, მიმართულია ყოველგვარი აგრესიის საფრთხის წინააღმდეგ. ასეთია შეთანხმება სსრ კავშირსა და ინგლისს შორის, შეთანხმება სსრ კავშირსა და საფრანგეთს შორის. მაგრამ არსებობს აგრეთვე მთელი რი

ა. ი. ვიშინსკის სიტყვის დასასრული

ბანი ატომური იარაღის აკრძალვის, მისი წარმოების შეწყვეტის, უკვე დამზადებული ატომური ბომბების მხოლოდ და მხოლოდ სამოქალაქო მიზნებისათვის გამოყენებისა და აღნიშნული კონვენციის შესრულებისადმი მტკიცე საერთაშორისო კონტროლის დაწესების შესახებ.

ამ წინადადებამ საწინააღმდეგო მოსაზრებანი გამოიწვია დასავლეთის სამი სახელმწიფოს მხრივ, რომელნიც ამტკიცებდნენ, რომ „სანამ კონტროლის სისტემა ძალაში არ შევა, აკრძალვა იძულებით ვერ შესრულდება და ილუზორული დარჩებაო“. ისინი კვლავ ჯიუტობენ, იცავენ რა თავიანთ წინადადებას, რომ საერთაშორისო კონტროლის სისტემის დაარსება **წინ უძღოდეს** ატომური იარაღის აკრძალვის გამოცხადებას. ამ საკითხზე შეთანხმების შესაძლებლობის გასაადვილებლად ჩვენ წინადადება შემოგვაქვს შეტანილ იქნას შენიშვნა, რომ ატომური იარაღის უთუო აკრძალვის და მტკიცე საერთაშორისო კონტროლის დაწესების გამოცხადების შესახებ წინაღუდგა აგრეთვე დასავლეთის სამი სახელმწიფო, რომლებმაც უარყვეს ეს წინადადება როგორც უბრალო დეკლარაცია, რომელსაც მეტად მცირე მნიშვნელობა ექნება, თუ წინასწარ არ მივაღწიეთ შეთანხმებას ზუსტი ხასიათის შესახებ და თუ კონტროლის სისტემა ძალაში არ შევიდაო. რაც შეეხება კონტროლს, სამი სახელმწიფო დაჟინებით მოითხოვდა, რომ ეს კონტროლი არ უნდა შემოიფარგლოს ინსპექციის ან შემოწმების ცალკე ოპერაციებით, და ეს სახელმწიფოები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ გამოთქმას—„მუდმივი ინსპექცია“.

ზემოხსენებულის შესაბამისად ჩვენ შევიტანეთ საჭირო ცვლილებანი „ახალი მსოფლიო ომის საფრთხის საწინააღმდეგო და ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“ წინადადების ჩვენს თავდაპირველ პროექტში, რადგან მიგვაჩნია, რომ ჩვენი რეზოლუციის პროექტის მიღება მეტად მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანების გადასაწყვეტად.

„დიდება რუსეთს—მშვიდობისა და პროგრესის ქვეყანას!“

ბომბეის საერთაშორისო სამრეწველო გამოფენაზე

ბომბეი, 15 იანვარი. (საკდესი). ბომბეის ათეულ ათასობით მოქალაქე ყოველდღე ათვალიერებს საბჭოთა პავილიონს საერთაშორისო სამრეწველო გამოფენაზე. 14 იანვრისათვის პავილიონი დაათვალიერა 100 ათასზე მეტმა კაცმა.

ბომბეის მცხოვრები ჯაინრაიონი შთაბეჭდილებათა წიგნში წერს: „სსრ კავშირის პავილიონი უდიდესი მოვლენაა ინდოეთის ცხოვრებაში. ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებ საბჭოთა ხალხს, რომლის ხელითაც შექმნილია ყოველივე ეს“. „საბჭოთა პავილიონი ინის კარგი დადასტურებაა,—წერს გამოფენის მნახველი ბატლავალა,—თუ რის მიღწევა შეუძლია კოლექტიურ ეკონომიურ სისტემას“. „დიდება რუსეთს, — წერს მნახველთა ჯვუფი, — მშვიდობისა და პროგრესის ქვეყანას“.

ერთმა ხანში შესულმა მუშამ შთაბეჭდილებათა წიგნში ჩაწერა: „მე ვისურვებდი, რომ ინდოეთში დაბადებულიყვნენ ლენინისა და სტალინის მსგავსი ადამიანები“. „მე ვიხილე,— წერს ინდოეთის საჰაერო ფლოტის მფრინველი,— საბჭოთა რესპუბლიკების ნამდვილი პროგრესი და მათი მდგომარეობა მსოფლიოში. ვერც ერთი ქვეყანა ვერ შეედრება ამ დიდ რესპუბლიკებს, რომლებსაც გულწრფელად უყვართ მშვიდობა“. „რუსეთის პავილიონი,—წერს ერთერთი მნახველი, — ეს კარგი პასუხია ლაყბობაზე ევრეთწოდებული „რკინის ფარდის“ შესახებ“.

ინდოეთის მთავრობასთან არსებული ბომბეის სამრეწველო ინსტიტუტის რექტორი კეშავიახი წერს: „დაზგებს, რომლებსაც საბჭოთა პავილიონში აჩვენებენ, არა თუ ბადალი არ მოეპოვებათ თავისი კონსტრუქციის მხრივ, არამედ სიზუსტითა და ჩქარი მუშაობითაც გამოირჩევიან. ომის დროს, როცა ინგლისში ვიყავი, მე იქ ვნახე სრულიად სხვადასხვანაირი მოქმედი დაზგები, მაგრამ ისინი თავიანთი ხარისხით ყველანი ჩამოუვარდებიან საბჭოთა დაზგებს“.

საბჭოთა პავილიონი დათვალიერა ინდოეთის საზოგადოებრივ სამუშაოთა, წარმოებისა და მოგარაგების მინისტრმა გადგილმა. დათვალიერების შემდეგ მან საკუთარ ეკონომიკურ სინდიკატს განუცხადა: „საბჭოთა პავილიონმა ჩემზე საუცხოო შთაბეჭდილება მოახდინა“.

ინგლისის მშვიდობის დაცვის კომიტეტის განცხადება

ლონდონი, 15 იანვარი. (საკდესი). გუშინ ინგლისის მშვიდობის დაცვის კომიტეტმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ნათქვამია: „ვიშინსკის მიერ შეტანილი წინადადებანი კიდევ ერთი კოლოსალური ნაბიჯია წინ, რადგან ისინი წარმოადგენენ ისეთ რაშეს, რასაც დასავლეთის სახელმწიფოები ვერ უარყოფენ, ვინაიდან ისინი ამისათვის ვერავითარ საბაბს ვერ გამონახავენ...

ინგლისელთა და ამერიკელთა წრეების პირველი კომენტარები ცხადყოფენ, რომ, მიუხედავად ამისა, ცდილობენ რაც შეიძლება შეამცირონ ვიშინსკის წინადადებათა განსაკუთრებული მნიშვნელობა და გამონახონ მათი უარყოფის საბაბი, ეს საქმეები ნათლად მოწმობს, რომ ხალხთა ფართო მასების მხოლოდ მტკიცე მოთხოვნა მოგვცემს იმის იმედს, რომ მოლაპარაკების დროს გამოჩენილ იქნება შეთანხმების მიღწევის ნამდვილი მზადყოფნა. საპირისპიროდ დაუყოვნებლივ შეიკრიბოს კიდევ ათასობით ხელმოწერა ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ მიმართვაზე“.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ზეგავლენა ირანის მთავრობაზე

ირანს შეუწყვეტეს ამერიკის ეგრეთწოდებული სამხედრო „დახმარება“

ნიუ-იორკი, 15 იანვარი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტის ცნობით, შეერთებულმა შტატებმა შეაჩერეს ირანისათვის სამხედრო „დახმარების“ გაწევა, რადგან ირანის მთავრობა არ ასრულებს „უშიშრების ურთიერთუზრუნველყოფის კანონის“ პირობებს.

პასუხისმგებელი პირები აცხადებენ, რომ ირანმა ხელი არ მოაწერა საჭირო შეთანხმებას დაწესებულ ვადაზე—8 იანვარს—და ამ ვადის შემდეგ არ იჩენს არავითარ სურვილს ხელი მოაწეროს მას.

ამასთან დაკავშირებით ეგრეთწოდებული უშიშროების ურთიერთუზრუნველყოფის საკითხთა სამმართველოს ხელმძღვანელმა ჰარიმანმა განკარგულება გასცა ირანისათვის სამხედრო მასალების მიწოდების შეწყვეტის შესახებ.

ინგლისელ მშვიდობისათვის იბრძვიან

ი. ა. ვალიკის საუბარი ფრანგ სოფლის მეურნეთა დელეგაციასთან

პარიზი, 14 იანვარი. (საკდესის სპეც. კორ.). ფრანგი გლეხობის ფართო ფენები თავიანთ ხმას უერთებენ მილიონობით ადამიანთა ხმას, რომლებიც იბრძვიან მშვიდობისათვის და ყველაფერზე მაღლა აყენებენ მშვიდობის შენარჩუნების ინტერესებს. მშვიდობისათვის ბრძოლის ამ მზარდი ალმავლობის ერთ-ერთი მკაფიო გამოხატულება იყო ის, რომ საფრანგეთის 8 დეპარტამენტის სოფლის მოსახლეობის წარმომადგენლები ეწვივნენ საბჭოთა კავშირის დელეგაციას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-6 სესიაზე. საფრანგეთის სოფლის წარმომადგენელნი საფრანგეთის დიდი და პატარა სოფლების მცხოვრებნი არიან. მათ შორის არიან რამბო-ლოს და გარონის დეპარტამენტის პატარა სოფლის არმიიაკის მერი; შანსეი-კორეზის დეპარტამენტის სოფელ ბომონის მცხოვრები, ფლავიენი-ობის დეპარტამენტის სოფელ ვუეს მცხოვრები, ლუსლა და ეე—ორივე დორდონის დეპარტამენტის სოფელ პერიგეს მცხოვრები.

სტუმრები გულთბილად მიიღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-6 სესიაზე სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურის მოადგილემ ი. ა. მალიკმა და დელეგაციის წევრმა ა. პ. პავლოვმა.

რამბომ ილაპარაკა, თუ რა მიზეზთა გამო წამოვიდა გლეხთა დელეგაცია პარიზში, თუ რა განწყობილებაა საფრანგეთის სოფელში.

— ჩვენ, — თქვა მან,—მოვედით არა როგორც ცალკეული პირები და მარტო ჩვენი სახელით როდი ვლაპარაკობთ აქ, ჩვენი დელეგაცია არჩეულ იქნა პერიგეს გლეხთა კონფერენციაზე. ამ კონფერენციაში 7 ათასზე მეტი გლეხი მონაწილეობდა. კონფერენციამ გადაწყვიტა თავისი წარმომადგენელი გამოეგზავნა პარიზს, რათა ისინი სწვეოდნენ საფრანგეთის, სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის დელეგაციებს გენერალური ასამბლეის მე-6 სესიაზე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ სამდივნოს და გადაეცათ მათთვის მოწოდება — მიიღონ ისეთი გადაწყვეტილებანი, რომლებსაც შეუქლიათ უზრუნველყონ მშვიდობა. მაგრამ მხოლოდ სსრ კავშირის დელეგაცია დათანხმდა ჩვენს მიღებასა და მოსმენაზე, სხვებმა კი უარით გვიპასუხეს ან სულაც არ გაგვცეს პასუხი.

პარიზს ჩვენი გამოგზავნის შესახებ პერიგეს კონფერენციის გადაწყვეტილება, — განაგრძო რამბომ, — გამოიწვია იმ სერიოზულმა შეშფოთებამ, რომელსაც მოუცავს გლეხობის სხვადასხვა ფენა ახალი ომის მზარდი საფრთხის შედეგად. გლეხები ახლა გრძნობენ უფრო მეტ ჩაგვრას ომის გამო, რომ ჩვენი ქვეყანა ოკუპირებულია ამერიკის მიერ; გამალებული შეიარაღება მზარდ ეკონომიურ სიძნელეებს იწვევს. ჩვენი დეპარტამენტები განსაკუთრებით ფართოდ განიცდიან ოკუპაციის სიმძიმეს; ამერიკელები ჩვენს მიწა-წყალზე მოკალათებული არიან, როგორც დაპყრობილ ტერიტორიაზე, აწყობენ იქ სამხედრო ბანაკებს, საჰაერლის, სამარი მასალისა და იარაღის საწყობებს, სამხედრო-საჰაერო ბაზებს. ეს უდიდეს აღშფოთებას იწვევს სოფელში. გლეხები ისე ეპყრობიან ამერიკელ ჯარისკაცებსა და ოფიცრებს, როგორც ჰიტლერელ ოკუპანტებს ეპყრობოდნენ, რადგან ხედავენ, რომ ამერიკელები საფრანგეთში ჩამოვიდნენ, რათა სხვა ქვეყნებზე თავდასხმის ბაზად გამოიყენონ საფრანგეთი.

რამბომ ილაპარაკა ფრანგი გლეხების მძიმე ცხოვრებაზე, რომლებსაც აჩანგებს აუტანელი გადასახადები, რაც შეიარაღების გადიდებას ხმარდება.

— გამალებულმა შეიარაღებამ პირდაპირ აუტანელი გახადა ჩვენი ცხოვრება, — განაცხადა რამბომ.—ამას ლაპარაკობენ ყველა კრებასა და კონფერენციაზე, ყველა ბოლო სახლში. სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საქონლის ფასების განსხვავება სულ მატულობს. 1938 წელთან შედარებით საბრეწველო საქონლის ფასების ინდექსი 36-ჯერ გადიდდა, ხოლო სასოფლო-სამეურნეო საქონლისა—22-ჯერ. აი ამიტომ გლეხთა ყველაზე ძლიერი სურვილია შეწყდეს გამალებული შეიარაღება, შეწყდეს ამერიკელთა ოკუპაცია. გლეხებს მშვიდობა სურთ, ომზე სიტყვის გაგონებაც არ უნდათ. გლეხთა სადეპარტამენტო კონფერენციებზე ერთსულოვნად იღებენ რეზოლუციებს, რომლებითაც მოითხოვენ ატომური ბომბის აკრძალვას და ყოველგვარი შეიარაღების შემცირებას.

რამბომ ილაპარაკა, თუ რა დიდი გულმოდგინებით ადევნებენ თვალყურს გლეხები გენერალურ ასამბლეაზე სსრ კავშირის დელეგაციის საქმიანობას. ისინი იყენებენ ყოველ შემთხვევას, ყოველ შესაძლებლობას, რათა რადიოთი მოისმინონ, ან გაზეთში წაიკითხონ, თუ რა თქვა საბჭოთა კავშირის დელეგაციის მეთაურმა ვიშინსკიმ. და, თუმცა მშვიდობის დასაცავად მის მეზნებარე გამოსვლებს საფრანგეთის რადიოსადგურები და ბურჟუაზიული გაზეთები შეეცვალად აქცეყნებენ, თქვა რამბომ, მაგრამ ჩვენი გლეხები კარგად იცნობენ საბჭოთა წინადადებებს მშვიდობის დასაცავად და მხურვალე სიმპათიით ეპყრობიან მათ. ჩვენი რაიონის გლეხთა 90 პროცენტმა მოაწერა ხელი სტოკჰოლმის შოწოდებას ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ, და ისინი ეთანხმებიან წინადადებებს, რომლებიც გენერალური ასამბლეის ამ სესიაზე საბჭოთა დელეგაციამ შეიტანა და იცავს. თქვენთან აქ იმის სურვილმა მოგვიყვანა, რომ გამოგვთქვა თქვენდამი სოლიდარობისა და სიმპათიის გრძნობა, გვეთქვა თქვენთვის, თუ რა მხურვალედ ვუჭერთ მხარს მშვიდობისათვის ბრძოლას, რომელსაც ეწევიან სსრ კავშირის მთავრობა, საბჭოთა ხალხის ბელადი ი. ბ. სტალინი,—დაამთავრა რამბომ თავისი უბრალო და მართალი სიტყვა.

უპასუხა რა ფრანგ გლეხთა წარმომადგენლებს, ი. ა. მალიკმა თქვა: საბჭოთა სახელმწიფო თავისი წარმოშობის პირველი დღიდანვე და მთელი თავისი ისტორიის მანძილზე განუხრელად და თანმიმდევრულად ეწევა მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცების პოლიტიკას. ეს პოლიტიკა საფუძვლად უდევს საბჭოთა სოციალისტურ წყობილებას. საბჭოთა კავშირი არც როდისმე დამუქრებია და არც ამჟამად ემუქრება ვინმეს. მას სურს მშვიდობიანად და მეგობრულად იცხოვროს ყველა ქვეყანასთან, ყველა ხალხთან. საბჭოთა კავშირის ხალხებს ფიქრადაც არ მოსდით ვინმეს წინააღმდეგ ომი. ისინი ეწევიან მშვიდობიან შრომას, ახორციელებენ გიგანტურ სამშენებლო პროგრამას. ისინი აშენებენ გიგანტურ ჰიდროსადგურებს, ვეებერთელა არხებით აერთებენ მდინარეებსა და ზღვებს, აშენებენ ტყეებს და სარწყავი არხები გაჰყავთ ისეთ ტერიტორიებზე, რომლებიც თავიანთი ოდენობით ევროპის დიდ სახელმწიფოთა ტერიტორიებს აღემატება. აშენებენ ფაბრიკა-ქარხნებს, სახლებს, ადიდებენ მიწის მოსავლიანობას. ეს შრომა დიდ შედეგებს იძლევა. საელექტროენერგიო მალიკმა უთხრა სტუმრებს, რომ ომისშემდგომ წლებში სსრ კავშირის სამრეწველო პროდუქციის მოცულობა გაორკეცდა ომამდელ 1940 წელთან შედარებით. მარტო 1951 წელს საბჭოთა მრეწველობამ საბჭოთა სოფლის მეურნეობას 137 ათასი ტრაქტორი მისცა 15-ძალიანზე გადაყვანით.

ამაზე რამბომ განაცხადა, რომ ეს მეტია, ვიდრე საფრანგეთის მთელი ტრაქტორთა პარკი.

ყოველივე ის, რასაც საბჭოთა ხალხი საკუთარი შრომით ქმნის, განაგრძო მალიკმა, მისი ცხოვრების დონის ამაღლებას ხმარდება. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ ომის შემდეგ საბჭოთა ქვეყანაში არაერთხელ შემცირდა, ამასთან მნიშვნელოვნადაც, მასობრივი მოხმარების საქონლის ფასები.

ბუნებრივია, რომ საბჭოთა ხალხი, რომელსაც სურს კვლავაც მოახმაროს მთელი თავისი ღონისძიებანი თავისი მშვიდობიანი მიზნების განხორციელებას, ხალხს კეთილდღეობასა და ბედნიერებას, ყოველ ღონეს ხმარობს, რათა თავიდან აცილებულ იქნას ომი, უზრუნველყოფილ იქნას ხალხთა მშვიდობიანი თანამშრომლობა. გენერალური ასამბლეის ყველა სესიაზე საბჭოთა კავშირს შეჰქონდა კონკრეტული წინადადებანი, რომელთა მიზანია მშვიდობის ნამდვილი უზრუნველყოფა და ხალხთა მეგობრობის განმტკიცება. მალიკმა დაწვრილებით გააცნო სტუმრებს ეს წინადადებანი.

ჩვენი სამშვიდობო პოლიტიკის ერთგულნი,— განაგრძო მან,—ჩამოვედით ამ სესიაზეც მტკიცე სურვილითა და მტკიცე განზრახვით — მივაღწიოთ ისეთ გადაწყვეტილებათა მიღებას, რომლებიც ნამდვილად შეუწყობენ ხელს ახალი მსოფლიო ომის საფრთხის თავიდან აცილებას, არსებული საერთაშორისო დაძაბულობის აღმოფხვრას, გამალებული შეიარაღების შეწყვეტას, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფას.

მალიკმა სტუმრებს გადასცა იმ წინადადებათა ტექსტი, რომლებიც სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა ა. ი. ვიშინსკიმ შეიტანა 12 იანვარს გენერალური ასამბლეის განსახილველად. მან დაწვრილებით განუმარტა სტუმრებს ამ წინადადებათა არსი და ცხადყო, რომ საბჭოთა მთავრობამ თავისი წინადადებებით გააკეთა ყოველივე, რაც კი შესაძლებელია, რათა მიღწეულ იქნას ისეთ გადაუდებელ საკითხთა გადაწყვეტა, რომლებიც აღელვებენ მთელი მსოფლიოს მილიონობით ადამიანს, მათ შორის ფრანგ ხალხსა და ფრანგ გლეხებსაც, ისეთ საკითხთა გადაწყვეტა, როგორიც არის ატომური იარაღის აკრძალვა, დიდ სახელმწიფოთა შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირება და ამ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი მტკიცე საერთაშორისო კონტროლის დაწესება.

— თქვენ ხედავთ,—თქვა მალიკმა,—რომ ჩვენი პროგრამა თქვენს სურვილებსაც შეესაბამება. რასაკვირველია, გენერალურ ასამბლეაზე ყველა სხვა ქვეყნის დელეგაციები და უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის დელეგაციები რომ ანგარიშს უწევდნენ ხალხების სურვილს, მხედველობაში იღებდნენ მათს მხურვალე მისწრაფებას მშვიდობისადმი, ყველა ეს საკითხი დიდი ხანია გადაწყდებოდა და მშვიდობა უზრუნველყოფილი იქნებოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, გენერალურ ასამბლეაში საქმე სულ სხვანაირად არის. საბჭოთა წინადადებებს გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევენ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის და ატლანტიკის ბლოკის მონაწილე სხვა ქვეყნების დელეგაციები, და ეს არის ომის მთავარი მიზეზი, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დღემდე არ მიუღია ისეთი დადგენილებანი, რომელნიც ხალხებს მოუტანდნენ მშვიდობას, უზრუნველყოფდნენ გამალებული შეიარაღების შეწყვეტას და ატომური იარაღის აკრძალვას.

მაგრამ საბჭოთა დელეგაცია ახლაც შეუპოვრად იბრძვის იმისათვის, რომ ასამბლეამ მიიღოს საბჭოთა დელეგაციის მიერ შეტანილი წინადადებანი ახალი მსოფლიო ომის საფრთხის საწინააღმდეგო და ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ. ამ ბრძოლაში საბჭოთა კავშირის დელეგაციას ალფრთოვანებს ყველა ქვეყნის, მათ შორის საფრანგეთის ხალხის მასების ფართო მხარდაჭერა. სსრ კავშირის დელეგაციას ახსოვს მშვიდობის დიდი მეგობრის, საბჭოთა ხალხების ბელადის ი. ბ. სტალინის შესანიშნავი სიტყვები, რომ „მშვიდობა შენარჩუნებულ და განმტკიცებულ იქნება თუ ხალხები მშვიდობის შენარჩუნების საქმეს თავიანთ ხელში აიღებენ და ბოლომდე დაიცავენ მას“.

— ჩვენ ეს გვწამს,—თქვა მალიკმა,—ჩვენ ვიცით, რომ მშვიდობა გაიმარჯვებს ომზე. ჩვენ მტკიცედ ვიბრძვით ამისათვის, რომ ხალხებს აღარასოდეს მოუხდეთ ერთმანეთის წინააღმდეგ ომი. თქვენც ეს გსურთ. მაშ მოდით ერთად ვიბრძოლოთ ამ კეთილშობილური ამოცანის განსახორციელებლად, ამისათვის ბრძოლა ღირს!

რამბომ თავისი სახელითა და კოლეგების სახელით მადლობა გადაუხადა ი. ა. მალიკს გულთბილი მიღებისა და ახსნა-განმარტებისათვის. რამბომ თქვა, მე და ჩემი ამხანაგები ჩვენს სოფლელებს გავაცნობთ საბჭოთა დელეგაციის წარმომადგენლებთან ამ საუბარსო. ჩვენ,—გაბაცხადა რამბომ, — კონტაქტი გვაქვს გლეხთა ფართო მასებთან და დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ნაამბობი ამ მიღების შესახებ, ამ საუბრის შესახებ ახალ ძალას შემატებს მათ მშვიდობისათვის ბრძოლაში და იმის ახალ იმედს ჩაუნერგავს, რომ მშვიდობა შენარჩუნებულ იქნება.

საომარი მოქმედება ვიეტნამში

შანხაი, 15 იანვარი. (საკდესი). ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტომ ცენტრალური ვიეტნამიდან გვაცნობა, რომ 29 დეკემბერს ვიეტნამის სახალხო არმიის ნაწილებმა გაანადგურეს მტრის პოსტი ქალაქ ფან-ტიეტის (რომელიც 200 კილომეტრზეა საიგონის ჩრდილოეთით) გარეუბნების მახლობლად. ამ ოპერაციის დროს ხელთ იგდეს მტრის ორი 75-მილიმეტრიანი ქვემეხი. ბაო დაის ჯარების ახალგაწვეულ ჯარისკაცთა ორმა ასეულმა კაპიტულაცია მოახდინა.

ამავე დროს სახალხო არმიის სხვა ნაწილებმა ხელთ იგდეს 80 სატვირთო მანქანისაგან შემდგარი კოლონა, რომელსაც ფრანგი მაშველი ჯარი მოჰყავდა ფან-ტიეტიდან.

ბელგიის ახალი მთავრობის შედგენა

ბრიუსელი, 15 იანვარი. (საკდესი). დღეს ვან გუტმა მეფეს წარუდგინა ახალი მთავრობა. წინანდელ მთავრობაში ყოფილი ფინანსთა მინისტრის ვან გუტის მიერ ჩამოყალიბებული მთავრობა არსებითად არაფრით არ განირჩევა წინანდლისაგან და შედგება მხოლოდ და მხოლოდ სოციალურ-ქრისტიანული პარტიის წარმომადგენელთაგან. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ მოხდა მინისტრების ერთგვარი გადაყვან-გადმოყვანა.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღევანდელ ცნობაში

ფხენიანი, 15 იანვარი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღევანდელ ცნობაში ნათქვამია, რომ კორეის სახალხო არმიის შენაერთები ჩინეულ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან მჭიდრო თანამოქმედებით ყველა ფრონტზე ეწევიან თავდაცვითს ბრძოლებს და სეროიზულ ზარალს აყენებენ ამერიკელ-ინგლისელ ინტერვენტებსა და ლისინმანელთა ჯარებს.

გუშინ დასავლეთის და ცენტრალურ ფრონტებზე იონჩონისა და კიმზვის რაიონებში მოწინააღმდეგემ ბევრი ტანკის დახმარებით რამდენჯერმე მოიტანა იერიში სახალხო არმიის მიერ დაკავებულ მნიშვნელოვან მაღლობთა მიმართულებით. მაგრამ სახალხო არმიის ნაწილებმა წარმატებით მოიგერიეს მოწინააღმდეგის ყველა იერიში.

აღმოსავლეთის ფრონტის ცალკეულ უბნებზე სროლა წარმოებდა. გუშინ სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავთა გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის 3 თვითმფრინავი იმ თვითმფრინავთა რიცხვიდან, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ვონსანის, ნამფოსა და სუკჩონის რაიონებზე თავდასხმაში და რომლებიც მხეცურად ბომბავდნენ და ტყვიამფრქვევს უშენდნენ ამ რაიონების მშვიდობიან მოსახლეობას.

მოლაპარაკება კორეაში დაზავების შესახებ

პეკინი, 14 იანვარი. (საკდესი). სინხუას საagენტოს კორესპონდენტი კესონდან იუწყება:

იმ ქვეკომიტეტის გუშინდელ სხდომაზე, რომელიც კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკების დღის წესრიგის მე-3 პუნქტს განიხილავს, მეორე მხარე აკვიხნდა დამობმბვისა და ცეცხლის დაშენის თავის შესაძლებლობას და განაცხადა, რომ მან უნდა შეინარჩუნოს „უფლება— კორეაში ნაგებობათა მშენებლობასა და აღდგენასთან დაკავშირებულ საკითხებში ერეოდეს დაზავების შესახებ შეთანხმების ხელმოწერის შემდეგაც.

წინა დღეებში მეორე მხარე კვლავ დაჟინებით მოითხოვდა შეეზღუდა ჩვენი უფლება იმ საკითხის გადაწყვეტაში, ვაშენოთ თუ არ ვაშენოთ ნაგებობანი კორეაში.

შეეხო რა მოპირდაპირე მხარის ამ წინააღმდეგობრივ არგუმენტებს, ჩვენმა დელეგატმა ნათლად განაცხადა, რომ ომის დროსაც კი მოპირდაპირე მხარეს არ ძალუძს ჩაერიოს ჩვენს საშინაო საქმეებში, გავლენა მოახდინოს ჩვენი ნაგებობების მშენებლობაზე და, მიუხედავად მთელი ბარბაროსული დაბომბვისა და ცეცხლის დაშენისა, ხელი შეგვიშალოს იმაში, რომ საპასუხო დარტყმებს ვაგემებდეთ და მძიმე ზარალს ვაყენებდეთ მის ავიაციას. მეორე მხარე თვითონ იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ მისი ავიაცია, რომელიც ბორტმტმქმედებას სჩადის დაბომბვისა და ცეცხლის დაშენის დროს, სულ უფრო ძლიერ წინააღმდეგობას აწყდება.

ის საკითხი, ავაშენებთ თუ არა რაიმე ნაგებობას კორეაში დაზავების შესახებ შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი საშინაო საქმეა და არასგზით არ შეიძლება იყოს მოპირდაპირე მხარის ჩარევის საგანი.

იმ ქვეკომიტეტის სხდომაზე, რომელიც დღის წესრიგის მე-4 პუნქტს განიხილავს, ჩვენმა დელეგატმა კვლავ სავსებით ამხილა მოპირდაპირე მხარის გეგმა, რომლის მიზანია დააკავოს ჩვენი სამხედრო ტყვეები და გადასცეს ისინი ჩანკაიშელ დალიანმანელ ბანდიტებს იმ საბაბით, რომ გაცვლა უნდა წარმოებდეს „ერთში ერთის“ და „ნებაყოფლობითი რეპატრიაციის“ საფუძველზე. ჩვენმა დელეგატმა კვლავ მოითხოვა, რომ მეორე მხარემ წარმოადგინოს ცნობები, თუ სად იმყოფებიან ჩვენი მხარის 44.205 სამხედრო ტყვე და ჩვენი 1.456 სამხედრო მოსამსახურე, რომლებიც დასახელებული არ არიან მეორე მხარის სიაში. მეორე მხარე ნაცვლად იმისა, რომ პასუხი მოეცა ან წარმოედგინა ცნობები ამ სამხედრო ტყვეთა შესახებ, რაც მან წინათ აღგვითქვა და რაც არ შეასრულა, ცდილობდა ქვენევის კონვენციაში ეპოვნა თავისი წინადადების დასაბუთება. ჩვენმა დელეგატმა აღნიშნა, რომ, თუმცა ჩვენ კი არა, სწორედ მეორე მხარე აწერს ხელს ჟენევის კონვენციას და სწორედ იგი იმოწმებს განუწყვეტლივ ამ კონვენციას. მაგრამ ფაქტიურად მეორე მხარე აშკარად არღვევს ამ კონვენციის ნათელ დებულებებს.

ბიბლიოგრაფიული იშვიათობანი საჯარო [illegible]

[illegible] ლის სახელმწიფო [illegible] — [illegible] და რესპუბლიკაში ერთ-ერთი დიდი წიგნსაცავია. ბიბლიოთეკაში დაცულია მრავალი ბიბლიოგრაფიული იშვიათობა: სტეფანე პაოლინის „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“, გამოცემული 1629 წელს ქალაქ რომში, ფრანცისკო-მარიას „ქართული ენის გრამატიკა“, გამოცემული რომში 1670 წელს, ზოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, გამოცემული თბილისში 1712 წელს (ვახტანგისეული გამოცემა), „საქართველოს გაზეთი“ და „ქართული გაზეთი“ (გამოსული 1820 და 1821 წლებში), „თბილისის უწყებანი“ (1832 წ.), ა. პუშკინის „რუსლან და ლიუდმილას“ პირველი გამოცემა (1828 წ.), ა. გრიბოედოვის — „კოლოკოლი“ და სხვ.

ამ იშვიათ ძველ ლიტერატურაზე ბიბლიოთეკაში მუდამ დიდი მოთხოვნილებაა.

მოკლე ამბები

★ **აბაშაში ამუშავდა** ეთეროვანი ზეთის გადასამუშავებელი ქარხნის პირველი რიგი. წელს ქარხანა სრული სიმძლავრით იმუშავებს და წლის ბოლომდე გამოუშვებს თავის პირველ პროდუქციას — რამდენიმე ტონა რეჰანისა და გერანის ზეთს.

★ **ზუგდიდში** დამთავრდა საკონიაკო სპირტის სახდელი ქარხნის მშენებლობა და მოწყობილობის მონტაჟი. ქარხანა უახლოეს დღეებში შეუდგება მომარაგებული ნედლეულის გადამუშავებას.

★ **ბორჯომ-ბაღში** შეუდგნენ რკინიგზის სადგურის ახალი დიდი შენობის აგებას, რაც წელს უნდა დამთავრდეს. შენობა მოპირკეთებული იქნება ბოლნისის ტუფით, ეკლარის ქვით და ბორჯომის გრანიტით.

★ **ხალხური შემოქმედების** რესპუბლიკური სახლში დაამუშავეს სარეკომენდაციო რეპერტუარი და თვითმოქმედ წრეებს დაუგზავნეს დიდი რუსი კლასიკოსის ნ. ვ. გოგოლის გარდაცვალების 100 წლისთავის აღსანიშნავ საიუბილეო დღეებში სახელმძღვანელოდ.

მწერალთა კავშირში

შაბათს, 19 იანვარს, საღამოს 8 საათზე, მწერალთა კლუბში მწერალთა კავშირის კრიტიკისა და ლიტერატურისმცოდნეობის კომისია აწყობს დისპუტს თემაზე—„თანამედროვე ქართული სატ[illegible] პოემა“.

მოხსენებას წაიკითხავს კრიტიკოსი ბესარიონ ჟღენტი. კამათში მონაწილეობას მიიღებენ მწერლები და კრიტიკოსები.

დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“

პირველი გვერდი — „პრავდის“ 16-I მოწინავე — საბჭოთა მეცნიერება ხალხს ემსახურება.

ხელოვნებისა და ლიტერატურული დარგის სტალინური პრემიის კომიტეტში.

ლენინის დღეების წინ. კოლმეურნეობების საანგარიშო საარჩევნო კრებების წინ.

საბჭოთა კავშირში. სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში.

მეორე გვერდი — ი. ნიკანოროვი — მშენებლობის კომუნისტური მეთოდი.

ა. ი. ვიშინსკის სიტყვა პოლიტიკურ კომიტეტში 1952 წლის 12 იანვარს.

მესამე გვერდი — ა. ი. ვიშინსკის სიტყვა პოლიტიკურ კომიტეტში 1952 წლის 12 იანვარს.

მეოთხე გვერდი—უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა.

რედაქტორის მოადგილე
ი. ნატროშვილი

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1224 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

18 იანვარს

6.25 — მარშები. 7.30 — ქართული ხალხური სიმღერები. 10.30 — ნაწყვეტი ა. ყაზბეგის რომანიდან: „ხევისბერი გოჩა“. 11.10—ახალგაზრდა შემსრულებელთა კონცერტი. 17.15 — რუს კომპოზიტორთა ნაწარმოებები. 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის. 18.15 — ნაწყვეტ